პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 ნოემბერი სამშაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 269 (14873)




## შევასრულოთ ხუთწლედი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საერთო მანქანათმშენებლობა

საერთო მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოთა მუშაკებმა ვადამდე — 1970 წლის 28 ოქტომბერს შეასრულეს ხუთწლიანი დავალება წარმოების მოცულობის დარგში.

შრომის ნაყოფიერება 1970 წლის დამლევისათვის 1965 წელთან შედარებით გაიზრდება 60 პროცენტით და მეტად.

საერთო მანქანათმშენებლობის საწარმოებმა ხუთწლედის მანძილზე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება 8,5-ჯერ გაადიდეს. მნიშვნელოვნად გაფართოვდა სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წარმოება.

შეასრულეს რა ხუთწლიანი გეგმა, საერთო მანქანათმშენებლობის საწარმოები და ორგანიზაციები ახლა იბრძვიან იმისათვის, რომ ვადამდე დაამთავრონ 1970 წლის გეგმა და შეასრულონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი.

### მსუბუქი მრეწველობა

ჩვენი ქვეყნის მსუბუქი მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს წარმოების საერთო მოცულობის ზრდის ხუთწლედის დავალება, რომელიც სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებული იყო ხუთწლედის დამლევისათვის. მსუბუქი ინდუსტრიის საწარმოებმა თითქმის 1,5-ჯერ გაზარდეს სამრეწველო საქონლის გამოშვება. მატების 80 პროცენტზე მეტი უზრუნველყოფილია შრომის ნაყოფიერების ზრდით. წარმატებით სრულდება უმნიშვნელოვანესი საქონლის: შალის ქსოვილების, ზედა ტრიკოტაჟის, შეკერილი ნაწარმის, ტყავის ფეხსაცმლის წარმოების ხუთწლედის დავალებანი. მაგრამ ამასთან წარმოების დასახულ დონეს ჩამორჩება ბამბის, სელისა და აბრეშუმის ქსოვილების, ტრიკოტაჟის საცვლების წარმოება.

წინა ხუთწლედთან შედარებით მსუბუქი მრეწველობა უფრო სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. ხუთწლედის მანძილზე აშენდა მსუბუქი მრეწველობის 150 ახალი დიდი საწარმო და რეკონსტრუირებულია დაახლოებით 200 მოქმედი საწარმო. გაწეულია დიდი მუშაობა საწარმოთა ხელახალი ტექნიკური აღჭურვისათვის, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის და ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის.

მსუბუქი მრეწველობის მუშაკებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის და მთელ თავიანთ ძალღონეს ახმარენ წარმოების შემდგომ გადიდებას, სახალხო მოხმარების საქონლის ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესებას.

### გორკის ოლქი

გორკის ოლქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც ასრულებენ სოციალისტურ ვალდებულებებს, ვადამდე შეასრულეს წარმოების საერთო მოცულობისა და მანქანათმშენებლობის, ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ნაკეთობათა წარმოების ხუთწლიანი გეგმა. საუკეთესო საწარმოო მიღწევები მოიპოვეს გორკის საავტომობილო, „კრასნოე სორმოვოს", ჩორნაია რეჩკის ქიმიური კომბინატის ქარხნების, № 12 სამშენებლო ტრესტის კოლექტივებმა.

ოლქის მრეწველობა ხუთწლედში გეგმის გადამეტებით გამოუშვებს დიდძალ ავტომობილებს, დიზელებს, ფოლადს, ნაგლინს, მინერალურ სასუქებს, სახალხო მოხმარების საქონელს. სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გადიდდება 58 პროცენტით, ამ მატების ხამ მეოთხედს უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდა.

ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა მიმდინარე ხუთწლეულში გაზარდეს სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. წინა ხუთწლედთან შედარებით მარცვლეულის დამზადების მოცულობა გაიზარდა 75 პროცენტით, კარტოფილისა 18, შაქრის ჭარხლისა — 36, ხორცისა — 44, რძისა — 46, პროცენტით, კვერცხისა—2,1-ჯერ.

ოლქის მშრომელებმა, რომლებიც განაგრძობენ ლენინურ შრომით ვახტს, გაშალეს შეჯიბრება პარტიის მომავალი XXIV ყრილობის აღსანიშნავად.

### ვოლგოგრადის ოლქი

ვოლგოგრადის ოლქის მრეწველობის მუშაკებმა შეასრულეს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, წარმოების მთლიანი მოცულობის ხუთწლედის დავალება ვადამდე გაანაღდეს. სამრეწველო პროდუქციის გამოშვება გადიდდა 1,5-ჯერ და მეტად. შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მიღებულია წარმოების მატების ორი მესამედი. ხუთწლედში სწრაფი ტემპით ვითარდებოდა ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და მსუბუქი მრეწველობა. ვოლგოგრადელმა ტრაქტორმშენებლებმა მიმდინარე წელს გადააჭარბეს დიდმნიშვნელოვან მიჯნას— გამოუშვეს მემილიონე ტრაქტორი. სინთეზური კაუჩუკის ქარხნის კოლექტივმა მოკლე დროში ვადამდე აითვისა საწარმოს საპროექტო სიმძლავრენი. მნიშვნელოვნად გაიზარდა ავტოსაბურავების, ნავთობის პროდუქტების გადამუშავებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა წარმოება. თითქმის 1,7-ჯერ გაიზარდა მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის გამოშვება.

მწყობრში ჩადგა ვოლჟსკის მილის ქარხანა, ვოლგოგრადის ქიმიური კომბინატი, ფროლოვის ფოლადის ჩამომსხმელი ქარხანა, ურიუპინის ტრიკოტაჟის ფაბრიკა და 150-ზე მეტი საამქრო და წარმოება.

სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გაადიდეს მარცვლეულის, მზესუმზირას, ხორცისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება. მიმდინარე წელს ოლქმა მოიწია მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი. სახელმწიფოს ბეღლებში შენახულია 4 მილიონ ტონაზე მეტი მარცვალი, ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ამდენი პური პირველად ჩააბარეს.

ეჯიბრებიან რა სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ვოლგოგრადის ოლქის მშრომელებმა იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი. (საქდესი).

## შემოქმედების წყარო

ПРАВДА

15 ნოემბრის მოწინავე

რევოლუციის ქარ-ცეცხლში შობილი, ლენინის დიადი იდეებით შთაგონებული საბჭოთა ლიტერატურა ერთგულად ემსახურება კომუნისტური მშენებლობის საქმეს, ეხმარება პარტიას ახალი საზოგადოების ადამიანის აღზრდაში. სწორედ ჩვენს ლიტერატურას ხვდა წილად საპატიო მისია პირველს წარმოესახა სრულიად სოციალისტური ეპოქის ადამიანი, რომლის გონებითა და შრომით ახლდება ქვეყანა, რეალობად იქცევა თაობათა სანუკვარი ოცნებანი. ხელს უწყობს რა საბჭოების ქვეყნის მოქალაქის სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებას, ჩვენი ლიტერატურა ამავე დროს უდიდეს გავლენას ახდენს დედამიწის მილიონობით მშრომელთა გონებასა და გულზე.

„პარტია შემოქმედებითი მუშაკებისაგან ელის, — აღნიშნა სკკპ XXIII ყრილობამ, — ახალ მნიშვნელოვან ნაწარმოებებს, რომლებიც მოგვხიბლავენ ცხოვრების ასახვის სიღრმითა და სიმართლით, იდეური პათოსის ძალით, მაღალი მხატვრული ოსტატობით, აქტიურად შეუწყობენ ხელს კომუნიზმის მშენებლის სულიერი სახის ჩამოყალიბებას, ჩაუნერგავენ საბჭოთა ადამიანებს მაღალ მორალურ თვისებებს, კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულებას, მოქალაქეობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის გრძნობას". საბჭოთა ლიტერატორებმა პარტიის ეს მითითება მოქმედების სახელმძღვანელოდ მიიღეს. მთელ ხალხთან ერთად ისინი მთელ თავიანთ ძალ-ღონესა და ნიჭს ახმარენ კომუნიზმის მშენებლობის დიდებული გეგმების განხორციელებას.

ლიტერატურას ხატოვნად ხელოვნების უფროს დას უწოდებენ. თეატრის, კინემატოგრაფიის, ტელევიზიის ნაყოფიერი განვითარება წარმოუდგენელია სრულფასოვანი სცენარებისა და პიესების, ფილმისა და სპექტაკლის ამ პირველსაწყისის გარეშე. დღეს მწერლის სიტყვას ხალხი ეცნობა არა მარტო მილიონობით ეგზემპლარი წიგნით, არამედ აგრეთვე ათასობით მხატვრული კინოსურათის, თეატრალური და სატელევიზიო დადგმების მეშვეობით. მაყურებელთა და რადიომსმენელთა აუდიტორია, რომელიც უმაგალითოა თავისი მასშტაბებით, კმაყოფილებით ხვდება სცენასა თუ ეკრანზე განსახიერებულ, ან ეთერში აჟღერებულ ყოველ ნიჭიერ ლიტერატურულ ნაწარმოებს.

ამიტომ არის, რომ საზოგადოების ესოდენ ფართო ყურადღება მიიპყრო სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა მოსკოვში. ლიტერატორებმა, ხელოვნების მოღვაწეებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, რომლებიც პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ, განიხილეს თეატრის, კინოსა და ტელევიზიისათვის განკუთვნილი ლიტერატურის თანამედროვე მდგომარეობა, მისი განვითარების ტენდენციები, დასახეს ამ დარგის შემდგომი ამოცანები.

ხალხის ცხოვრება, შრომა და ბრძოლა საბჭოთა ხელოვნების მუშაკების შემოქმედების მთავარი, შთამაგონებელი წყაროა, ჩვენი ლიტერატურა, რომელიც პარტიულობის პრინციპით ხელმძღვანელობს, სოციალიზმის ქვეყნის დინამიკური განვითარების ფართო და მრავალფეროვან პანორამას იძლევა, მგზნებარედ ამკვიდრებს ახალს, პროგრესულს და უარყოფს იმას, რაც ხელს უშლის საზოგადოების წინსვლას. საბჭოთა მწერლების საუკეთესო ნაწარმოებებში პოულობს ასახვას ჩვენი თანამედროვის, მუშისა და კოლმეურნის, ინჟინრისა და მეცნიერის მდიდარი სულიერი სამყარო, მათი როლი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, ღრმა სოციალურ გარდაქმნათა პირობებში.

საბჭოთა ლიტერატურის წარმატებანი უეჭველია. მაგრამ კომუნიზმის მშენებლობის ისტორიული ამოცანების სირთულე და სიახლე, თანამედროვე სამყაროში მიმდინარე მწვავე იდეოლოგიური ბრძოლა ხელოვანთაგან მოითხოვს თავიანთი მუშაობისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას, ყოველივე იმის მომთხოვნ, კრიტიკულ შეფასებას, რაც უკვე გაკეთდა და კეთდება. სწორედ ამიტომ პლენუმის მონაწილენი ლაპარაკობდნენ არა მარტო მიღწევებზე, არამედ ანალიზსაც უკეთებდნენ წარუმატებლობებს, სუსტ მხარეებსა და ნაკლოვანებებს დრამატურგიის განვითარებაში.

როგორც პლენუმზე აღინიშნა, ჯერ კიდევ ცოტა იქმნება მკაფიო, ნიჭიერი ნაწარმოებები ჩვენს თანამედროვეობაზე, პიესებს, სცენარებს, რადიო და ტელედადგმებს ზოგჯერ აკლია ჩვენი სინამდვილის, საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყაროს ღრმა სოციალურ-ფილოსოფიური გააზრება. სქემატიზმი, უფერულობა ხასიათებისა და კონფლიქტების დამუშავებაში ხელს უშლის მწერალს გააგებინოს მაყურებელს არსებითად საინტერესო დაკვირვებანი. კინოსტუდიებს, ტელევიზიას, თეატრებს ისევ და ისევ აკლიათ სცენარები და პიესები, რომლებიც ღრმად, მკაფიოდ წარმოსახავენ ჩვენს თანამედროვეს. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება მარტო დრამატურგთა ღირსების საქმე როდია. საჭიროა მხატვართა, მწერალთა და ხელოვნების მუშაკთა შემოქმედებითი კავშირების მთელი რაზმების შეთანხმებული საქმიანობა.

ლიტერატორთა და ხელოვნების ოსტატთა ნამდვილ შემოქმედებით თანამეგობრობას მუდამ კარგი ნაყოფი მოჰქონდა. მაგრამ თეატრალურ ორგანიზაციათა, კინო და ტელესტუდიათა ჯერ კიდევ ყველა ის ხელმძღვანელი როდი მუშაობს მწერლებთან აქტიურად და დაინტერესებულად, რომლებზეც დამოკიდებულია რეპერტუარის ფორმირება. შემოქმედებითმა კავშირებმა, კულტურის სამინისტროებმა, კინემატოგრაფიის კომიტეტებმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ გააქტიურონ ეს მუშაობა, უფრო ეფექტიანად დაეხმარონ მწერლებს შემოქმედებითს ძიებაში, მაღალიდეური, მხატვრულად სრულფასოვანი რეპერტუარის შექმნაში. დიდი სარგებლობა მოაქვს მწერალთა შემოქმედებითს მივლინებებს ქარხნებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, სამეცნიერო ცენტრებში, შეხვედრებსა და სემინარებს გამოცდილების ურთიერთგასაზიარებლად, თემატურ კონკურსებს და ლიტერატორებისათვის ქმედითი დახმარების გაწევის ბევრ სხვა ფორმას. ჟურნალები და გამომცემლობანი უფრო ხშირად უნდა აქვეყნებდნენ საუკეთესო დრამატულ ნაწარმოებებს. საბჭოთა დრამატურგია ვითარდება და მდიდრდება როგორც მრავალეროვნული ხელოვნება, და ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ რუს დრამატურგთა და მოძმე რესპუბლიკების დრამატურგთა საუკეთესო ნაწარმოებები მთელი საბჭოთა ქვეყნის მაყურებელთა კუთვნილება ხდებოდეს.

ადგილობრივი პარტიული კომიტეტები, აგრეთვე შემოქმედებითი კავშირების პარტორგანიზაციები მეტ ყურადღებას უნდა უთმობდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა იდეოლოგიური აღზრდის პრობლემებს, მათი რთული და პასუხსაგები შრომის, მათი საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლების ყოველდღიურ საკითხებს.

განსაკუთრებით პასუხსაგებია მხატვრული ინტელიგენციის როლი ორი სამყაროს მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის ვითარებაში, რომელშიც ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება ამკვიდრებენ კომუნისტურ იდეალებს, ამხილებენ იმპერიალიზმის ანტიადამიანურ არსს.

ხუთწლედის დამთავრებასა და სკკპ XXIV ყრილობისათვის მზადებას საბჭოთა ადამიანები აღნიშნავენ სოციალისტური შეჯიბრების უმაგალითო, ნამდვილად საყოველთაო სახალხო გაქანებით. საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენციის შრომა საბჭოთა ხალხის მიღწევათა განუყოფელი შემადგენელი ნაწილია, ხალხისა, რომელიც კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობით აშენებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ამრავლებს ჩვენი დიადი სამშობლოს მატერიალურ და სულიერ დოვლათს.



### მომავალი ხუთწლედის ანგარიშში

ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის ბევრმა ახალგაზრდა მუშამ უკვე შეასრულა ხუთწლედის დავალება და ახლა მომავალი წლის ანგარიშში შრომობს. მათ შორის არის საძირე საამქროს დეტალების გამომჭრელი გიორგი ხვანიძე, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს 140-160 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: კომბინატის მოწინავე ახალგაზრდა გ. ხვანიძე და საძირე საამქროს უფროსი ვ. გოგიჩაძე.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

## აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა მე-4 კონფერენციას

ქვირფასო მეგობრებო!

დელი

გულითადად მოგესალმებით აზიისა და აფრიკის ქვეყნების ლიტერატორთა საერთაშორისო ფორუმის მონაწილეებს.

ჩვენს დროში განუხრელად იზრდება მნიშვნელობა აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხთა ბრძოლისა მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის. დემოკრატიული, პროგრესული ინტელიგენცია, მხატვრული სიტყვის მოწინავე ოსტატები ამ ბრძოლის აქტიური მონაწილენი არიან.

განთავისუფლებული ქვეყნების მწერლები, რომელთა ხალხები ახალ ცხოვრებას აშენებენ, მთელ თავიანთ ნიჭსა და ენერგიას ახმარენ საუკეთესო ეროვნულ ტრადიციათა აღორძინებასა და კულტურის განვითარებას, რომელიც შეესაბამება ხალხთა სრული განთავისუფლების მოთხოვნილებებს, მშრომელთა ინტერესებს, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ლიკვიდაციას. დამოუკიდებლობის მოპოვებამ, განათლებისა და კულტურის განვითარებამ უმაგალითოდ გააფართოვა მკითხველთა აუდიტორია. ასეთ პირობებში განსაკუთრებულ ძალას იძენს ისეთი მწერლის მგზნებარე სიტყვა, რომელიც მხარში უდგას ხალხს და ხალხისათვის მუშაობს. მისი შემოქმედების პროგრესული შინაარსი ხელს უწყობს სიმტკიცისა და ვაჟკაცობის, ინტერნაციონალური და პატრიოტული გრძნობების ჩანერგვას, რაზმავს მათ იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ყველა ფორმის რასობრივი, ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად. აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბევრი მწერალი არა მარტო კალმით, არამედ იარაღით ხელშიც იბრძვის თავიანთ ხალხთა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ლიტერატორები სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ გმირ ვიეტნამელ ხალხთან, ლაოსისა და კამბოჯის პატრიოტებთან, არაბული ქვეყნების ხალხებთან სოლიდარობის მოძრაობაში. მწერლები გულისწყრომით გმობენ სამხრეთაფრიკელ რასისტთა და პორტუგალიელ კოლონიზატორთა სამარცხვინო საქმეებს.

აზიისა და აფრიკის ხალხთა ლიტერატურა დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ ამ კონტინენტების მწერალთა წვლილს მსოფლიო კულტურის განვითარებაში. ჩვენ ყოველთვის განვამტკიცებთ მეგობრობასა და თანამშრომლობას აზიისა და აფრიკის ხალხებთან, მათს დემოკრატიულ და პროგრესულ ინტელიგენციასთან.

ვუსურვებ კონფერენციის მონაწილეებს ახალ შემოქმედებითს მიღწევებს, ახალ წარმატებებს კეთილშობილურ საქმიანობაში მაღალი ჰუმანური იდეალებისათვის, სამართლიანობისა და დემოკრატიის გამარჯვებისათვის, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის.

ლ. ბრეჟნევი,

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

## ეძღვნება დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის იუბილეს

მსოფლიო პროგრესული ახალგაზრდობა ზეიმობს დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის 25 წლისთავს. ეს წარმომადგენლობითი ორგანიზაცია მსოფლიოს 100 ქვეყნის ახალგაზრდობის 200 ორგანიზაციას აერთიანებს. მის იუბილეს მიეძღვნა ახალგაზრდობის საზეიმო კრება თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ალავიძემ.

მოხსენება — „დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია 25 წლისაა" გააკეთა საქართველოს ახალგაზრდობის ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარემ რ. გოგლიძემ.

უფროსი თაობების, იმათი სახელით, ვინც 1945 წლის ნოემბერში დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციას ქმნიდა, ახალგაზრდობას სიტყვით მიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ფვანიამ.

ამერიკელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ ვიეტნამელი ახალგაზრდობის გმირულ ბრძოლაზე, დახმარებაზე, რომელსაც დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია უწევს ინდოჩინეთის ახალგაზრდა პატრიოტებს, შეკრებილთ უამბრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი ნგუენ ფაკ ხუკი.

კრებაზე გამოვიდნენ: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ო. მარგალიტაძე, თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე დოცენტი ვ. მაჭავარიანი, ჟურნალ „ცისკრის" მთავარი რედაქტორი საქართველოს ლენინური კომკავშირის სახელობის პრემიის ლაურეატი ჯ. ჩარკვიანი.

კრებაზე გამოსულმა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტმა ა. ოლივამ მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ახალგაზრდობის, მათ შორის ქართველი ახალგაზრდობის წვლილს მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში. ახალგაზრდობის მოძრაობის წინაშე დამსახურების აღიარების ნიშნად ა. ოლივამ დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის საპატიო სიგელები გადასცა საქართველოს ახალგაზრდობის ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარის რ. გოგლიძეს, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ჯ. პატიაშვილს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს ნ. ფვანიას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგეს ო. ჩერქეზიას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგეს რ. მეტრეველს. (საქდესი).

## სომხეთის დელეგაცია თბილისიდან გაემგზავრა

კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა სომეხი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობისა და ძმობის მატიანეში. სომხეთის სსრ მშრომელთა დელეგაციის ჩამოსვლა სომხეთის სსრ და სომხეთის კომპარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ახალი ძმური შეხვედრების კარგი საბაბი გახდა.

ქართველი ხალხი ფართოდ აღნიშნავს საბჭოთა სომხეთის ნახევარი საუკუნის იუბილეს და უსურვებს სომხეთის მშრომელებს, მთელ სომეხ ხალხს — თავის კეთილ და ახლო მეზობელს ახალ დიდ წარმატებებს ცხოვრების ყველა სფეროში.

15 ნოემბერს სომხეთის მშრომელთა დელეგაცია სომხეთში გაემგზავრა. სტუმრების გასაცილებლად მოვიდნენ ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები, მოსწავლეები.

გამცილებელთა შორის არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები მ. ა. გოგიჩაიშვილი და ნ. შ. ცხაკაია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. მ. ლელაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე დ. ვ. გოგოხია, ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილების გამგე ა. გ. კარანაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. ბუხრაშვილი, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გ. ნ. ჯიბლაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე კ. კ. გარდაფხაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შ. ა. სალარიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ზ. გ. ახვლედიანი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივნები ი. ა. შევარდნაძე და გ. ა. ანდრონიკაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველი ა. ა. კინწურაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი მ. ა. მეგრელიშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეები გ. ა. ჭოლოშვილი, ნ. ა. ფვანია, რესპუბლიკური გაზეთის „ზარია ვოსტოკას" რედაქტორი შ. ვ. ყარყარაშვილი, რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე ა. ა. დვალიშვილი, გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის" რედაქტორი ა. ა. ბლრციანი, გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის" რედაქტორი ქ. დ. ყულიევი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ხ. ე. ჭილაია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ი. ნ. ვეკუა, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე დ. კ. ანთაძე, სოციალისტური შრომის გმირები ე. ბ. სოლომონია და შ. ა. ფირცხალავა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. ა. ჯავახიშვილი.

სტუმრებს ყვავილები მიართვეს და მეგობრულად დაულოცეს გზა. მაგრამ ეს განშორება არ არის, რადგან ძმები არასოდეს არ შორდებიან ერთმანეთს.

ახალ შეხვედრებამდე, ძვირფასო სომეხო ძმებო ქართულ და სომხურ მიწა-წყალზე! (საქდესი).




## დაათვალიერეს საიუბილეო პროდუქცია

16 ნოემბერს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველოს საგამოფენო დარბაზში ამხანაგებმა ვ. პ. მჟავანაძემ, გ. დ. ჯავახიშვილმა, გ. ს. ძოწენიძემ, ზ. ა. ჭანუყვაძემ, ნ. შ. ცხაკაიამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ე. მ. ჯაფარიძემ დაათვალიერეს სახალხო მოხმარების საქონლისა და სუვენირების ნიმუშები, რომლებიც რესპუბლიკის მრეწველობამ გამოუშვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისათვის. თავიანთი პროდუქცია წარმოადგინეს მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის, ადგილობრივი, ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროების საწარმოებმა.

მთელმა რიგმა ნიმუშებმა მაღალი შეფასება მიიღეს. (საქდესი).

### საქდესის ცნობა

## მთვარისირგვლივ ორბიტაზეა ავტომატური სადგური „ლუნა-17"

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 1970 წლის 10 ნოემბერს მთვარისაკენ ფრენის ტრაექტორიაზე გაყვანილ იქნა ავტომატური სადგური „ლუნა-17".

დედამიწა—მთვარის ტრასით ფრენის დროს სადგურთან მოეწყო რადიოკავშირის 36 სეანსი, რომელთა დროს სრულდებოდა მოძრაობის ტრაექტორიის პარამეტრების გაზომვა და მოწმდებოდა საბორტო სისტემათა მუშაობა. მთვარისირგვლივი სივრცის გათვალისწინებულ რაიონში სადგურის გასვლის უზრუნველსაყოფად 12 და 14 ნოემბერს განხორციელდა მისი მოძრაობის ტრაექტორიის კორექციები.

მთვარესთან მიახლოებისას მოეწყო სადგურის დამუხრუჭება, რის შედეგადაც იგი გადავიდა სელენოცენტრულ ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

სიმაღლე მთვარის ზედაპირიდან — 85 კილომეტრი;

ორბიტის დახრილობა მთვარის ეკვატორის სიბრტყისადმი — 141 გრადუსი;

მთვარის გარშემო მიმოქცევის პერიოდი — 1 საათი და 56 წუთი.

ფრენის პროგრამით გათვალისწინებულია სადგურის მრავალგზისი მანევრირება მთვარისირგვლივ ორბიტაზე.

შორი კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრს მყარი კავშირი აქვს „ლუნა-17" ავტომატურ სადგურთან.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, საბორტო აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამომთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

## პარტიულ კონფერენციებზე

15 ნოემბერს პარტიულ ორგანიზაციებში დაიწყო საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის კიდევ ერთი მეტად პასუხსაგები ეტაპი — რაიონული პარტიული კონფერენციები.

კონფერენციები გაიმართა ზუგდიდში, ხობში, ლანჩხუთში, მცხეთაში, მესტიაში, წალკაში, ხულოსა და ოჩამჩირეში.

# პირველადს ორგანიზაციებზე დაყრდნობით

ზუგდიდის პარტ-კონფერენციიდან

დარბაზი დანიშნულ დროზე ადრე გაივსო ხალხით. აი ზიხარ კონფერენციის მონაწილეთა შორის და ალტაცებას ვერ ფარავ. — ხუმრობა ხომ არ არის, თერთმეტი დელეგატი სოციალისტური შრომის გმირია! მათ რიცხვში არიან ორგზის სოციალისტური შრომის გმირები თამარ ყუფუნია და ანთიმოზ როგავა, საკოლმეურნეო ცხოვრების სხვა ნიჭიერი, თავდადებული ადამიანები; ერთი საბჭოთა კავშირის გმირია, ხოლო 298 დელეგატს მკერდს მთავრობის ორდენები და მედლები ამშვენებენ.

დიახ, ზიხარ დარბაზში, უყურებ ამ წარჩინებულ ადამიანებს, და ფიქრობ, თუ რაოდენ ძლიერი უნდა იყოს ის რაიონული პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც ასეთი და ამ რაოდენობით წარმომადგენლები ჰყავს.

— დელეგატად არჩევის ნორმები რომ არა, მაშინ გენახათ, თუ ყველა გმირი და ორდენოსანი აქ მოვიდოდა, — ღიმილით გვეუბნება ერთ-ერთ შესვენებაზე რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი შ. გაბედავა.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, კარგია და კაცს კმაყოფილებას ანიჭებს, მაგრამ პირველი შეხედვით იგი საქმის მხოლოდ გარეგნულ მხარედ მოჩანს. ჭილდო, რა მაღალიც უნდა იყოს, ადამიანს, ამ შემთხვევაში კომუნისტს, როცა მის შესახებ ჯერ სხვა მეტი არაფერი არ იცი, ახასიათებს ზოგადად, რომ იგი მოწინავეა, წარჩინებულია. და აი პარტიული კონფერენციის დიდი ტრიბუნა აკმაყოფილებს შენს ცნობისმოყვარეობას, კონკრეტული ციფრებითა და ფაქტებით ახლოს გაცნობს მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციების, ცალკეული კომუნისტების მეტად რთულსა და პასუხსაგებ ცხოვრებას.

ზუგდიდის რაიონის პარტიული ორგანიზაცია კი ერთ-ერთი მრავალრიცხოვანია ჩვენს რესპუბლიკაში. 4077 კომუნისტი მართლაც დიდი ძალაა, რომ ყველგან, ყველა უბანზე წარმატებით გადაწყდეს პარტიის წინაშწარდასახულობანი. სწორედ კომუნისტები არიან, ტონს რომ აძლევენ რაიონის მშრომელებს ყოველდღიურ საქმიანობასა და ყოფაცხოვრებაში. პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ა. ჭითანავაც, რომელიც კონფერენციაზე პარტიის რაიონული კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით გამოდის, პირველ რიგში კომუნისტთა იმ კოლექტივებს ასახელებს, რომლებიც სულ უფრო მეტ ინიციატივასა და თაოსნობას იჩენენ, ავლენენ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შემოქმედებითს უნარს.

და ჩვენ ეს სწორად, ბუნებრივად გვეჩვენა. კონფერენციის მიზანი ხომ ის არის, რომ ნათლად გამოკვეთოს, აჩვენოს საანგარიშო პერიოდში პარტიული ორგანოს მიერ გაწეული მრავალმხრივი მუშაობა. ეს მუშაობა კი, როგორც ფოკუსში, ყველაზე უკეთ მოჩანს და ვლინდება პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში, მათს ბრძოლისუნარიანობაში, კომუნისტთა აქტივობასა და ინიციატივაში, მათი პასუხისმგებლობის ამაღლებაში.

მომხსენებელი და კამათის მონაწილენი ლაპარაკობენ დამაჯერებლად, სათანადო მაგალითებითა და ფაქტებით. მთელ საანგარიშო პერიოდში — ორი წლის მანძილზე სკკპ რიგებში რაიონის ყველა პარტიული ორგანიზაციის მიერ მიღებულია 569 ამხანაგი. ცოტაა? სამაგიეროდ გაძლიერდა მომთხოვნელობა. აი შამგონის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციამ პარტიაში მიიღო ახალგაზრდა ლუიზა წყარომია, რომელიც 4 წელია, რაც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ აქტიურად მონაწილეობს „მწვანე ოქროსათვის" ლაშქრობაში, შარშან გაზაფხულზე კი ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოს" საჭეს მიუჯდა და ჩინებულად დაეუფლა მას. იგი აქტიურია არა მარტო შრომაში, აგრეთვე საზოგადოებრივ მუშაობაშიც. ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კომუნისტთა კოლექტივს შეემატა ნოვატორი, სოციალისტური შრომის გმირი ჯუტი შენგელია, ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას — მოწინავე მუშა, კომკავშირის კომიტეტის მდივანი აკაკი სხულუხია და სხვები.

მაგრამ ყველა ორგანიზაციაში როდი იჩენენ პრინციპულობასა და მაღალ მომთხოვნელობას. სწორედ ამიტომ იყო, რომ პარტიის რაიკომის ბიურომ 7 კაცს უარი უთხრა პარტიაში მიღებაზე, ხოლო ზოგიერთი ადრე მიღებულის გარიცხვაც კი დასჭირდა.

და საერთოდ, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობის რაიმე დადებითს ფაქტს რომ განაზოგადებენ, კონფერენციის მონაწილენი იქვე ხაზს უსვამენ, მკაცრად აკრიტიკებენ ნაკლს, ხარვეზს, რომელიც ამცირებს კომუნისტთა ძირითადი რგოლების ავტორიტეტს და ბრძოლისუნარიანობას.

მაგალითად, ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიულ კრებას, როგორც კომუნისტთა აღზრდის სკოლას. ამიტომაც მის შესახებ ბევრი დელეგატი ლაპარაკობს. კრებები მაღალ დონეზე ეწყობა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის კარგად ზრუნავენ რუხის, ინგირის, კახათის კოლმეურნეობებში, ზედა ეწრის, ნარაზენის საბჭოთა მეურნეობებში, საქსოფლტექნიკის რაიონული განყოფილების და სხვა საწარმოდაწესებულებათა პირველად პარტორგანიზაციებში. მაგრამ ჯერ კიდევ ცოტა როდია შემთხვევები, როცა წლიდან წლამდე კომუნისტთა ერთი ნაწილი კრებებზეც დუმს, როცა განსახილველად საკითხებს არასწორად არჩევენ, ან მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლს ივიწყებენ. კონფერენციაზე სწორედ იმიტომ შეხვდა კრიტიკა ოდიშის კოლმეურნეობის პირველად პარტიულ ორგანიზაციას (მდივანი ლ. სართანია), რომ თუმცა აქ უკანასკნელ ხანს რამდენჯერმე იმსჯელეს მეცხოველეობის აღმავლობის საკითხებზე, მაგრამ მიღებული დადგენილებები ქაღალდზე დარჩა, მეცხოველეობაში ჩამორჩენა კვლავ გრძელდება.

ტრიბუნაზეა ზედა ეწრის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის პარტბიუროს მდივანი ვ. ფიფია. იგი ამბობს, თუ როგორ ახორციელებს ბიურო კოლექტიური ხელმძღვანელის ფუნქციას, რა კონკრეტულ დახმარებას უწევს მათ პარტიის რაიონული კომიტეტი.

კამათში 14 დელეგატი გამოვიდა. ბევრი მათგანი — კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ჭიჭია, რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ვ. გულორდავა, ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი ქ. ბიგვავა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ო. ანთია, განათლების განყოფილების გამგე მ. ნარმანია და სხვები — საფუძვლიანად შეეხო საბჭოების, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების, ადამიანთა აღზრდის, განათლებისა და კულტურის, ვაჭრობისა და ყოფაცხოვრების, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საკითხებს. გამოითქვა ბევრი სასარგებლო შენიშვნა და წინადადება, რამაც ასახვა ჰპოვა კონფერენციის გადაწყვეტილებაში.

როგორ გამოიხატა პრაქტიკულ საქმეებში რაიონის პარტიული ორგანიზაციის ბრძოლა?

აი ზოგიერთი ციფრი და ფაქტი: ნახევარი წლით ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულდა ხუთწლიანი გეგმა სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებში. გეგმით გათვალისწინებული 134.805 ტონის ნაცვლად მოიკრიფა და დამზადდა 149.248 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. განაღდებულია მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის ხუთწლიანი დავალებაც: ხორცისა — 116,6 პროცენტით, რძისა — 104,5, კვერცხისა — 107,5 პროცენტით, უკვე შესრულდა რძის წარმოების ხუთწლიანი გეგმაც.

სწორედ მთავარი დარგების — მეჩაიეობის, მეცხოველეობისა და მეაბრეშუმეობის მკვეთრმა აღმავლობამ განაპირობა მეურნეობათა ეკონომიკის ზრდა და სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება. საყურადღებოა, რომ თუ 1967 წლისათვის ზუგდიდის რაიონში 17 ზარალიანი კოლმეურნეობა იყო, ამჟამად ასეთი მხოლოდ ერთია — თრულუს კოლმეურნეობა.

ნაყოფიერად იშრომეს სამრეწველო საწარმოთა მუშაკებმაც. საანგარიშო პერიოდში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 6.794 მანეთის პროდუქცია. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს ჩაის მრეწველობის კოლექტივებმა.

მომხსენებელი ასახელებს იმ მეურნეობათა და პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების, კომუნისტების გვარებს, სადაც უფრო მაღალნაყოფიერად წარმოებს შრომა, სადაც უფრო გაბედულად ინერგება მეცნიერული აზრი და ნოვატორული მეთოდები, სადაც საუკეთესოდ დააყენეს შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა. იგი კმაყოფილებით ლაპარაკობს სოფლისადმი დასახმარებლად ქალაქ ზუგდიდის ორგანიზაციების მეტად აქტიურ და სასარგებლო საშეფო მუშაობაზე.

როგორ უნდა იმოქმედოს ახალარჩეულმა რაიონულმა პარტიულმა კომიტეტმა? როგორ კონკრეტულად უნდა იმუშაონ ადგილებზე პირველადმა პარტორგანიზაციებმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა, მთელმა რაიონულმა კადრებმა იმისათვის, რომ თვითეული მეურნეობა, საწარმო, დაწესებულება, ბრიგადა, უბანი თუ რგოლი გამართულად მუშაობდეს, წარმატებით ასრულებდეს არა მარტო სახელმწიფო გეგმებს, არამედ ნაკისრ ვალდებულებებსაც, რომ თვითეულმა ადამიანმა იცოდეს საკუთარი სიტყვის ფასი?

კამათის მონაწილენი — რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს" თავმჯდომარე ა. კუტალია, ორჯონიკიძის ჩაის ფაბრიკის დირექტორი ს. ებრალიძე, დარჩელის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ვ. ჭედია, ახალსოფლის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. როგავა და სხვები ლაპარაკობენ სწორედ ასეთ ღონისძიებებზე, მათი განხორციელების მეთოდებზე, ჩამორჩენილი დარგების წამოწევაზე, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვაზე. როგორც მომხსენებელი, ისე ისინიც განსაკუთრებით უსვამენ ხაზს მარცვლეულის, ციტრუსების, დაფნის, სოიის, ლობიოს და სხვა კულტურების წარმოების შემდგომი გაფართოების აუცილებლობას და სარგებლობას.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. შ. ჭანუყვაძემ, რომელმაც დელეგატების ყურადღება გაამახვილა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის, მათი როლისა და ავტორიტეტის ამაღლებაზე, წარმოების გონივრულ გაძღოლაზე, კადრების შერჩევასა და განაწილებაზე, კომუნისტების, ხელმძღვანელ მუშაკთა პირადი მაგალითის ძალაზე, მათი პასუხისმგებლობის ამაღლებაზე, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის კიდევ უფრო განმტკიცებაზე.

ამხ. შ. ჭანუყვაძემ ხაზი გაუსვა მამათა მაგალითით, სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით ახალგაზრდა თაობის აღზრდის, პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების, წინასაყრილობო და წინასაიუბილეო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების დიდ მნიშვნელობას.

კონფერენციამ მიიღო დადგენილება, აირჩია პარტიის რაიონული კომიტეტის, სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და საქართველოს კპ XXIV ყრილობის დელეგატები.

* * *

გაიმართა ახალარჩეული რაიკომის პირველი პლენუმი, რომელმაც საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ა. ე. ჭითანავა, მეორე მდივნად — ა. დ. შერონია, მდივნად — დ. ი. ჯანტურია.

ა. ზურაშვილი,
გ. ნოდია.

# რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

15 ნოემბერს გაიმართა ლანჩხუთის რაიონული პარტიული კონფერენცია.

რაიკომის პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს დ. ხ. საბაშვილი, მეორე მდივნად — მ. ქ. ვადაჭკორია, მდივნად ბ. უ. მოისწრაფიშვილი.

კონფერენციისა და რაიკომის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ პროფსაბჭოს თავმჯდომარე თ. ი. მოსაშვილი.

15 ნოემბერს გაიმართა მესტიის რაიონული პარტიული კონფერენცია.

რაიკომის პლენუმზე საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს მ. ზ. ვაიჩიანი, მეორე მდივნად ო. ტ. ნაკანი.

კონფერენციისა და რაიკომის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი თ. ნ. დავითაშვილი.

15 ნოემბერს გაიმართა მცხეთის რაიონული პარტიული კონფერენცია.

რაიკომის პლენუმზე საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს გ. ხ. კავთიაშვილი, მეორე მდივნად ა. მ. ზარისაშვილი, მდივნად ი. ლ. ედიშერაშვილი.

კონფერენციისა და რაიკომის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე.

15 ნოემბერს გაიმართა ხობის რაიონული პარტიული კონფერენცია.

პარტიის რაიკომის პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს ა. ს. წურწუმია, მეორე მდივნად ნ. ლ. კარტოზია, მდივნად ვ. ს. დოლბაია.

კონფერენციისა და რაიკომის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი გ. ს. ქობულია.

15 ნოემბერს გაიმართა წალკის რაიონული პარტიული კონფერენცია.

პარტიის რაიკომის პლენუმზე საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს ე. ა. დელაძერი, მეორე მდივნად გ. ი. გავრილოვი, მდივნად მ. ა. ქურბინიანი.

კონფერენციისა და რაიკომის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. ლაბახუა.

15 ნოემბერს გაიმართა ხულოს რაიონული პარტიული კონფერენცია.

პარტიის რაიკომის პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს მ. მ. ბერიძე, მეორე მდივნად გ. ა. შაინიძე, მდივნად ნ. ო. აბულაძე.

15 ნოემბერს გაიმართა ოჩამჩირის რაიონული პარტიული კონფერენცია.

პარტიის რაიკომის პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ოჩამჩირის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს ა. ქ. გვარამია, მეორე მდივნად გ. ქ. ნაჭყებია, მდივნად რ. ნ. ჟონუა. (საქინფორმი).

## შენთვის, ჩემო ქვეყანავ!

# არაგვის ახალი სიცოცხლე



დღესასწაული მოელის ჩვენს მთებსაც. რამდენი მთის მდინარე, რამდენი წყალვარდნილი, რამდენი მამოძრავებელი ძალაა ჩვენს ქვეყანაში, რამდენი სხვადასხვა ზომის და სიდიდის ტურბინები აშენდება აქ, ვოცნებობ დღესასწაულზე, რომელიც ახლო მომავალში დაუდგება ჩვენს ქვეყანას.

ნიკო ნიკოლაძე.

ჟინვალი. ხავსმოდებული ციხე-კოშკები, დანგრეული სიმაგრეები, ორი არაგვის დაძმობილება ხერთვისის ველზე. გაღმა, მარჯვნივ ფშავხევსურეთის გზა, გამოღმა საქართველოს დიდი არტერია, რომელიც დარიალის ხეობით მიდის ჩრდილოეთ კავკასიის ტრამალებში. არანისის, ხორხის, ნეძიხის, გუდრუხისა და თვალივის ულრანი ტყეები. ზევით — ანანურის ციხე-სიმაგრე. იყო დრო, როცა ჟინვალი ჟინვალობდა, როცა არაგვის ხეობაში გაისმოდა დატვირთული ქარავნების ხმაური. ჟინვალი ამაყობდა თავისი სასახლეებით, დარბაზებით, ქარვასლებით და ეკლესიებით. ამ კლდე-კარს მაშინ ჰქონდა დიდების ჟამი, იგი გაუტეხელ ბასტიონად იდგა საქართველოს ჩრდილოეთში. მერე ათასჯერ იქუხა, სისხლად იწვიმა ჩვენი ქვეყნის ცაზე, და დაირღვა ჟინვალის სიმშვიდე.

მართალია, მერე იყო დიდი თამარის ეპოქა, იყო აღმავლობის და დაქვეითების წლები, მაგრამ საბოლოოდ ჟინვალს მოსაგონებლად მხოლოდ ნანგრევებიღა დარჩა.

ბებერ ციხეს ახსოვს, საბჭოთა ხელისუფლების წლებში როგორ იცვალა სახე ჟინვალმა. აშენდა ჰიდროელექტროსადგური, რკინაბეტონის ხიდი არაგვზე, გაიჭრა ახალი გზები, აღიმართა ახალი საზოგადოებრივი შენობები, ჟინვალმა მოიშუშა წარსულის ჭრილობები, მამა-პაპათა სისხლით მორწყულ მიწაზე ბედნიერი ცხოვრება დამკვიდრდა. დღეს კიდევ ახალი სასიხარულო ამბის, ახალი დიდების მომსწრე ხდება ჟინვალი.

იგი თავისი მნიშვნელობით, შინაარსითა და მასშტაბით დიდად აღემატება წარსულის დიდებას.

მაგრამ ეს დიდება მარტო ჟინვალისა როდია. იგი თანაბრად ეკუთვნის მთის დაუდეგარ ნაყურს, რომლის შესახებ ქართველი კაცი რაღაცნაირი სიყვარულით წარმოთქვამს: მორბის არაგვი, არაგვიანი, თან მოსძახიან მთანი ტყიანი... საქართველოში ბევრი მდინარეა, მაგრამ არაგვს ჩვენს ფიქრებში მაინც განსაკუთრებული ადგილი ეთმობა. იგი ყოველთვის იყო და არის პოეტური შთაგონების წყარო, ალბათ ამიტომ არაგვის ხეობაში ვისაც კი შევხვდები, ბუნებით ყველა მგოსანია.

რა დიდებული სტრიქონები მიუძღვნეს არაგვს მხატვრული სიტყვის დიდოსტატებმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა, ილიამ, ვაჟამ, გაზაფხულის, განახლებისა და ვაჟკაცობის სიმბოლოა არაგვი. მაგრამ ის მარტო უდარდელი მომღერალი როდია, ამავე დროს დაუღალავი მუშაკიც გახლავთ. რკინაბეტონის არტახებით შებოჭილი აგერ ოც წელზე მეტია იაფ ელექტროენერგიას იძლევა. უხვად რწყავს საგურამოსა და სამუხრანოს მოწყურებულ მინდვრებს.

დიდია მდინარის ძალა! უწყლოდ ხომ შეუძლებელია სიცოცხლე. ჩვენს თვალწინ გაცოცხლდნენ წილკნის, მისაქციელის, ნატახტარის, ძალისის ბაღ-ვენახები, გაიხარეს საგურამოს და ჰოპორტის ველ-მინდვრებმა.

და ყველაფერი ეს გააკეთა არაგვმა.

მაგრამ ჩვენს დროში მიღწეულს როდი სჯერდებიან. რაც გაკეთდა, საკმარისი არ არისო. მთავრობამ დაადგინა: მომავალ წელს დაიწყოს ჟინვალჰესის და ჟინვალის წყალსაცავის მშენებლობა, რაზედაც 150 მილიონი მანეთი უნდა დაიხარჯოს.

ახალი ამბავი ფრთამალია, ცნობა მშენებლობის შესახებ სწრაფად გავრცელდა ქართლის მთიანეთში, დუშეთისა და მცხეთის რაიონებში, აგრეთვე დედაქალაქში. ყველას აინტერესებს ამ ისტორიული საქმის შინაარსი. დუშეთელ ამხანაგებთან ერთად შარშან მოვისმინეთ „ჟინვალჰესის" პროექტის ერთ-ერთი ავტორის, ინჟინერ მ. ნადირაძის საუბარი, ხოლო ამ დღეებში ვინახულეთ ჟინვალის კაშხალის საკვლევაძიებო ექსპედიციის უფროსი ინჟინერი დავით საყვარელიძე, რომელსაც ვთხოვეთ:

გვითხარით დაწვრილებით, რა უნდა გაკეთდეს ჟინვალში და ამასთან რა ამოცანა უნდა შეასრულოს ახალმა ნაგებობამ?

— მოგეხსენებათ, რომ სოფელი ანანური 175 მეტრით მაღლა მდებარეობს, ვიდრე სოფელი ბულაჩაური. ჰიდრონაგებობის მშენებლობისას ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. სანამ შეიქმნება ახალი წყალსაცავი, მანამდე უნდა აშენდეს მიწაქვაყრილის კაშხალი, რომლის სიმაღლე 101 მეტრს მიაღწევს. კაშხალი ერთმანეთს შეახვედრებს ორ მთას სოფელ ჟინვალს ცოტა ქვემოთ. მომავალი კაშხალის ადგილას დაიყრება ხუთ მილიონამდე კუბური მეტრი მიწაყრილი, აქედან კაშხალის გულში დატკეპნული იქნება წყალუჟონავი თიხნარის ფენა, უზარმაზარი ჯებირი მტკიცედ ჩაკეტავს დაუდეგარ არაგვს. ჟინვალს ზემოთ დაგუბდება ვეებერთელა ზღვა, რომელიც ხუთას მილიონზე მეტ კუბმეტრ წყალს დაიტევს.

— კაშხალის ასაგებად მაინცდამაინც ჟინვალი რატომ აირჩიეს?

— ნაგებობისათვის გამოვიყენებთ არაგვის ქვემო დინებას ანანურიდან ბულაჩაურამდე, უფრო ზუსტად, მუხრანის სარწყავი სისტემის კაშხალამდე. დინების ამ ნაწილში მთიულეთისა და ფშავის არაგვი ქმნიან საკმაოდ განიერ ჭალებს. ზოგან მათი სიგანე ორ კილომეტრსაც კი აღწევს. ჟინვალთან კი ხეობა ძალიან ვიწროა და მაღალი კაშხალის აგება ბუნებრივ პირობას ქმნის. ეს ყველაფერი საშუალებას იძლევა ავაგოთ საკმაო მოცულობის წყალსაცავი.

— ვიწრო ხეობაში კაშხალის აგება ძნელი იქნება, არაგვს ხომ გზა უნდა?

— არაგვის გადასაგდებად აიგება ორი პარალელური გვირაბი. აქედან პირველის დიამეტრი იქნება 5,5 მეტრი, მეორისა — 8 მეტრი, რაც უზრუნველყოფს მშენებლობის პერიოდში მდინარის დინებას, მშენებლობის დამთავრების შემდეგ კი პირველ გვირაბს გამოვიყენებთ ტურბინის მილსადენისათვის, ხოლო მეორეს — წყლის გასაშვებად.

ახლა ელსადგურის შესახებ. კაშხალის ქვემოთ მოეწყობა კილომეტრნახევრიანი წყალმიმღები გვირაბი, რომელიც შემდეგ შეუერთდება გამთანაბრებელ კოშკს, საიდანაც წყალი ლითონის მილებით დაეშვება და 350 მეტრის გავლის შემდეგ აამუშავებს ჰიდროაგრეგატებს, რომლებიც სიმძლავრით გადააჭარბებენ ხრამჰესს, გამოიმუშავებენ მეტ ენერგიას მოგვცემენ, ვიდრე რიონჰესი და ზაჰესი.

ჰიდროელსადგური მოთავსდება მიწის ზედაპირიდან 70 მეტრის სიღრმეზე. საბარგო და საშინაო შახტებით დაკავშირებული იქნება მიწის ზედაპირთან. კაშხალის მარცხენა მხარეს ეწყობა ღია წყალსაშვები, რომელიც წუთში 2380 კუბმეტრ წყალს გაატარებს.

მაგრამ ჟინვალის წყალსაცავი მარტო ელექტროენერგიას როდი მოგვცემს. მთავარია ის, რომ წყალსაცავმა უნდა უზრუნველყოს თბილისის, რუსთავის და დედაქალაქის გარშემო მდებარე კურორტების სასმელი წყლით მომარაგება, ამავე დროს, ახალი წყალსაცავი ტექნიკურ წყალს მიაწვდის გარდაბნისა და რუსთავის მრეწველობას.

— გთხოვთ აგვიხსნათ, როგორ განხორციელდება ეს?

ჟინვალჰესის საექსპლოატაციოდ გადაცემასთან ერთად, მცხეთაში ჩადგება ახალი წყალსადენის მაგისტრალი, რომელიც სათავეს აიღებს ელექტროსადგურისა და რვაკილომეტრიანი გვირაბის გავლის შემდეგ, ბულაჩაურის საგუბართან. აქედან წყალი დედაქალაქისაკენ წავა დახურული წყალსადენით. იგი ჯერ თბილისის ზღვასთან მივა, სადაც მოეწყობა [illegible] გაწმენდა-გაფილტვრა, პირველ ხანებში თბილისი მიიღებს 4,6 კუბურ მეტრ სასმელ წყალს წამში, ხოლო მომდევნო წლებში გაიზრდება მოთხოვნილების მიხედვით. ხოლო 9 კუბური მეტრი წყალი წავა თბილისის [illegible] 26 ათასი ჰექტარი მიწის [illegible].

— ხომ არ შეამცირებს ახალი წყალსადენი ბულაჩაურისა და ნატახტარის წყაროების [illegible]?

— არა. აბა [illegible] ბულაჩაურის შენობა, აქედან გადამუშავებული წყალი 8,2 კილომეტრი სიგრძის გვირაბით ქვემოთ დაეშვება და არაგვს შეუერთდება სწორედ იქ, სადაც ბულაჩაურის მიწისქვეშა წყაროებია. წყალსაცავის აგების შემდეგ ამ უბანში წყალი ყოველთვის ერთ დონეზე იქნება. წყაროების დებიტი, პირიქით, გაიზრდება.

— როგორი იქნება ჟინვალის ზღვა?

— როგორც ვთქვით, მისი მოცულობა 94 მეტრი სიღრმის დროს მიაღწევს 520 მილიონ კუბურ მეტრს, ხოლო წყლის სასარგებლო მოცულობა 370 მილიონ კუბურ მეტრამდე. აქედან 150 მილიონი კუბური მეტრი წყალსაცავი მკვდარი, გამოუყენებელი იქნება, რადგან მას დაიკავებს დალექილი ქვაღორღი, ლამი, ქვიშა. წელიწადში გათვალისწინებულია დაილექოს 1,3 მილიონი კუბმეტრი ნატანი (დაახლოებით 2 მილიონი ტონა). ამ პირობებში წყალსაცავი ნორმალურად იმუშავებს ასი და მეტი წლის განმავლობაში, რის შემდეგ თანდათანობით შემცირდება წყალსაცავის სასარგებლო მოცულობა. ოთხასამდე წელია საჭირო, რომ წყალსაცავი მთლიანად ამოივსოს. მე მგონია, იმ დროის ადამიანები გამოძებნიან საშუალებას გაწმინდონ ზღვის კალაპოტი და ამოღებული მონატანი გამოიყენონ. ყოველ შემთხვევაში, ეს უფრო გონივრულია, ვიდრე ნატანი ფუჭად ზღვაში მიდიოდეს.

რა თქმა უნდა, ჩვენ ყოველნაირად უნდა შევამციროთეროზია, ამისათვის მართლაც სერიოზულად უნდა ვიფიქროთ და ვიმოქმედოთ.

— კიდევ რას იტყვით მომავალი ზღვის შესახებ?

— როგორც მოგახსენეთ, ჟინვალის წყალსაცავი დაიტევს ხუთას მილიონზე მეტ კუბურ მეტრ წყალს, მისი ზედაპირი დაფარავს 11,5 კვადრატულ კილომეტრს, ხოლო შეტბორვის სიგრძე 10-12 კილომეტრს მიაღწევს, ცისფერი ტალღები ეწვევა სოფლებს ჟინვალს, ავენისს, ანანურს, გუდრუხს, ქვედა თვალივს, ნეძიხს.

— როგორც თქვენ ბრძანეთ, ანანური წყლით უნდა დაიფაროს, რა ეშველება ანანურის ციხე-სიმაგრეს?

— დამპროექტებლებმა ამაზეც იზრუნეს, გაითვალისწინეს, რომ ანანურის ციხე-სიმაგრე ქართული არქიტექტურის და ჩვენი მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლია, და ყველაფერი გააკეთეს, რომ იგი მომავალშიც ატკბობდეს მნახველის თვალს. მომავალი ზღვის ტალღები მხოლოდ მის ფერხთით იხმაურებენ.

განზრახულია ძველი სოფლების ნაცვლად, რომლებიც დატბორვის ზონაში მოყვნენ, აშენდეს ახალი კეთილმოწყობილი სოფლები, მშენებელთა დაბა 10-12 სართულიანი სახლებით აშენდება ქვემო არანისთან, რომელიც გათვალისწინებულია 5 ათასი მცხოვრებლისათვის. ასე რომ მოსახლეობა არაფერს წააგებს, ჩვენი მთავრობა მათ დაეხმარება არა მარტო თანამედროვე მინების, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მშენებლობაში.

— ხომ არ უფიქრიათ ახალი ზღვის ბინადარის — თევზის მოშენებაზე?

— განზრახულია თევზსაშენი ქარხნის აგება, რომელიც ყოველწლიურად ახალ ზღვაში ნახევარ მილიონამდე ლიფსიტას გაუშვებს. ამბობენ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ აქ კვლავ დამკვიდრდება ორაგული — თევზების მეფე, გამრავლდება კალმახიც.

— ვინ შეასხა ფრთები ჟინვალის წყალსაცავის მშენებლობის პროექტს?

— დაპროექტება მიმდინარეობდა ინჟინერ პ. ჩაფარიძის (მდინარე არაგვის ენერგეტიკული სქემა) და ინჟინერ მ. ნადირაძის (ჟინვალჰესის საპროექტო მოცულობა) ხელმძღვანელობით. ხოლო ადგილზე გეოლოგიურ, ჰიდროლოგიურ და ტოპოგრაფიულ სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ ინჟინრები მ. თარხნიშვილი, დ. ყარანაშვილი და ლ. პარასტაევი. როგორც აღინიშნა, მშენებლობა მიმდინარე წელს დაიწყება და ექვსი წლის მანძილზე შესრულდება 55 მილიონი კუბმეტრი მიწა-კლდის სამუშაოები, ჩაიწყობა 580 ათასი კუბური მეტრი ბეტონი და რკინაბეტონი, აშენდება 37 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი...

ამჟამად მთავრდება სამუშაო ნახაზების მომზადება, პირველი რიგის სამუშაოებისათვის მალე დაიწყება გზებისა და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანა, საბინაო მშენებლობა.

საუბარი დამთავრდა. მე კარგა ხანს დავცქეროდი მოვარდისფრო ქაღალდზე დახაზულ პროექტს, და გონების თვალით წარმოვიდგინე მომავალი ზღვის ტალღები, მასზე მოსრიალე ნავები, ჰაერში მოფარფატე თოლიები, ბედნიერი ადამიანები, ვისი სიკეთისა და კეთილდღეობისათვისაც უნდა გაკეთდეს ეს საშვილიშვილო საქმე.

დიახ, ეს იქნება ჟინვალის ახალი დიდება, არაგვის ახალი სიცოცხლე.

ა. თომაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.
ჟინვალი, დუშეთის რაიონი.



## გამოფენაზე — ფართო ჩვენებით

კარგად იშრომეს გასულ წელს შუახევის რაიონის კოლმეურნეებმა. სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით და იმ წარმატებისათვის, რომელსაც მათ თამბაქოს მოყვანაში მიაღწიეს, რაიონი მთლიანად დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის 1970 წლის მონაწილედ.

დიდი წარმატება ხვდა წილად სოფელ ოლადაურის კოლმეურნეობას. იგი გამოფენაზე წარმოდგენილია ფართო ჩვენებით.

ამ კოლმეურნეობის მეთამბაქოეებმა გასულ წელს სახელმწიფოს ჩააბარეს 45 ტონა თამბაქო ნაცვლად წლიური დავალებით გათვალისწინებული 21 ტონისა. მიღწეულს როდი დასჯერდნენ. ოლადაურელებმა წელსაც თამბაქოს უხვი მოსავალი მოიყვანეს. უკვე აღებულია 850 ათას ზონარმეტრზე მეტი თამბაქო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 220 ათასისა. სურათზე: მეთამბაქოეებმა ნათელა მაკარაძემ და მერი ქარცივაძემ ვადამდე შეასრულეს მშრალი თამბაქოს ჩაბარების წლიური გეგმა. მოწინავე კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე თავიანთი ნაკვეთებიდან თითო ტონა მშრალი თამბაქო ჩააბარონ.

ფოტო ნ. ანასტასიევისა. (საქტასის ფოტოქრონიკა).

# სიახლის ეფექტი

თბილისი. („კომუნისტის" კორ.). № 1 წისქვილკომბინატში (დირექტორი ვ. ბებიაშვილი) დაინერგა მნიშვნელოვანი სიახლე: დამონტაჟდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ფქვილის უტაროდ შესანახი და მომხმარებლისათვის გასაგზავნი დანადგარ-მოწყობილობა. ეს სიახლე საწარმოსათვის ეკონომიურად მეტად ეფექტურია, ამასთან აჩქარებს პურსაცხობებისათვის ფქვილის მიწოდების რთულ ოპერაციას.

საწარმოს საწისქვილე საამქროში დანერგილი სიახლით მთლიანად აღმოიფხვრა მძიმე ფიზიკური შრომა. ამიერიდან საჭირო აღარ არის ტომრებში ფქვილის ჩაყრა, საწყობში მიტანა, შეფუთვა, ავტოტრანსპორტზე ხელით დატვირთვა. ფქვილი საამქროდან ავტომატურად მიდის გარე ბუნკერებში, საიდანაც იყრება ფქვილსაზიდ სპეციალურ ავტომობილებში. ახლა კომბინატს საშუალება აქვს დღეღამეში ქალაქს 200 ტონამდე ფქვილი მიაწოდოს, ამასთან ყოველწლიურად დაზოგოს 24 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 870 ათასი ტომარა, დამატებით მიიღოს 43,8 ათასი მანეთი მოგება.

წისქვილკომბინატის კოლექტივი წარმატებით შრომობს ხუთწლედის ბოლო კვარტალში. სრულდება სახელმწიფო დავალებანი, ნაკისრი ვალდებულებანი. კომბინატელები საიუბილეო თარიღების ღირსეულად შეხვედრისათვის ემზადებიან.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

# ტყნეთის „სამარხის" საიდუმლოება

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ პროკურატურა

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 8 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი, რომელშიც მხილებული იყვნენ თბილისის სინთეზურ ნაკეთობათა ფაბრიკაში მოკალათებული გარეწრები, მათი ხელშემწყობნი, სახელმწიფო ქონების დამტაცებლები.

წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებო განყოფილების უფროსმა იუსტიციის უფროსმა მრჩეველმა მ. ქურდაძემ რედაქციას აცნობა: საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის სინთეზურ ნაკეთობათა ფაბრიკის მუშაკების მიერ სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების ფაქტებთან დაკავშირებით.

გაზეთ „კომუნისტის" 8 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში „ტყნეთის „სამარხის" საიდუმლოება" მოყვანილი ფაქტები გამოძიებით დადასტურებულია.

დაპატიმრებული არიან დამნაშავე პირები — ზემოაღნიშნული ფაბრიკის ყოფილი დირექტორი შ. ჭეიშვილი, მთავარი ინჟინერი გ. მაცაბერიძე, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ლაბორატორიის გამგე ო. ლაზიშვილი და სხვები.

გამოძიება ამ საქმეზე გრძელდება.

# წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

მკითხველი რედაქციაში გამოგზავნილი საჩივრით გვატყობინებდა, რომ ქარელის რაიონის სოფელ რუისის პურის საცხობის მუშაობაში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს. წერილი ზომების მისაღებად ქარელის რაისაბჭოს აღმასკომს გადაეგზავნა.

ქარელის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე შ. ნოზაძე რედაქციას სწერს:

შემოწმების შედეგად პურის საცხობში გამოვლინდა ანტისანიტარიის ფაქტები, საკითხი განიხილა ქარელის მომხმარებელთა საზოგადოების გამგეობამ, რომელმაც პურის საცხობის გამგეს ი. ეგნატაშვილს სასტიკი საყვედური გამოუცხადა და გააფრთხილა, რომ თუ მან შემდეგში დაუშვა მსგავსი ნაკლოვანებანი, მოხსნილი იქნება თანამდებობიდან.

## ჩვენი ფოსტიდან

☐ ამბროლაური. რაიონულ ცენტრში გაიხსნა მეცხოველეობის პროდუქტების სარეალიზაციო ახალი, კეთილმოწყობილი მაღაზია, რომელიც კარგად მარაგდება სხვადასხვა ასორტიმენტის ხორცით. მომხმარებელს აქვე შეუძლია შეიძინოს ხორცის ნახევარფაბრიკატები.

გ. თომაძე.

☐ წყალტუბო. სოფელ ქვედა გეგუთში წყალტუბოს რაიკოოპკავშირმა გახსნა კეთილმოწყობილი სასურსათო მაღაზია.

მაღაზიაში ფართოდ არის წარმოდგენილი კვების პროდუქტები, ყველა სახის გასტრონომიული საქონელი, პურ-ფუნთუშეული და მინერალური წყლები.

ა. ნიკოლეიშვილი.

## წერილები რედაქციას



### ბუქარესტი

## პოლონეთ-რუმინეთის კომუნიკე

ბუქარესტი. (საქდესი). რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტის შესახებ აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ორივე ქვეყანას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც მხარი დაუჭირონ თანამშრომლობის განმტკიცებას ვარშავის ხელშეკრულების ფარგლებში, ყველა სოციალისტურ სახელმწიფოსთან მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარებას, მათი ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებას სოციალიზმისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის.

კომუნიკეში ხაზგასმულია, რომ რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ახალი ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს ბუქარესტში, განაგრძობს მეგობრული ურთიერთობის ტრადიციებს, რომლებიც განმტკიცებულია რუმინეთ-პოლონეთის 1949 წლის 26 იანვრის ხელშეკრულებით.

### პრაღა

## ერთსულოვნების ატმოსფეროში

პრაღა. 16 ნოემბერი. (საქდესი). ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების პრეზიდიუმის მოწვევით 1970 წლის 9-14 ნოემბერს ჩეხოსლოვაკიაში იმყოფებოდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის დელეგაცია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის მარშლის ჩ. ვიცეხის მეთაურობით.

დელეგაცია, აღნიშნულია კომუნიკეში ვიზიტის შესახებ, მიიღეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჰუსაკმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლ. სვობოდამ. პოლონელი ამხანაგები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების თავმჯდომარე დ. განიშთან, პალატების თავმჯდომარეებთან, ქვეყნის სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეებთან.

მოლაპარაკების მსვლელობაში ორივე მხარემ აღნიშნა სრული დამთხვევა შეხედულებებისა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობის ძირითად საკითხებზე, აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის საკვანძო პრობლემებზე.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის დელეგაციის ვიზიტმა ჩეხოსლოვაკიაში ძმური გულითადობის ატმოსფეროში ჩაიარა, აღნიშნულია კომუნიკეში.

# მსოფლიო დღეს

### ბონი

## სკანდალი ფართოვდება

ბონი. 16 ნოემბერი. საქდესის კორესპონდენტი ი. მასლოვი გვატყობინებს: ბონში პოლიტიკური სკანდალი გამოიწვია იმ ამბავმა, რომ დეპუტატმა თავისუფალი დემოკრატიული პარტიისაგან გელდნერმა ამხილა ქრისტიანი დემოკრატები, უწინარეს ყოვლისა, ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარე შტრაუსი, რომლებიც ცდილობდნენ მის გადაბირებას ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ბუნდესტაგის ფრაქციაში.

ამ საქმიანობის მოქმედებით ოპოზიციას სურს ლახვარი ჩასცეს ბრანტ-შეელის მთავრობას. ახლა ქრისტიანულ-სოციალური კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ლიდერები იძულებული არიან მთელი ძალ-ღონე იმას მოახმარონ, რომ როგორმე გაიმართლონ თავი დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობის წინაშე. მაგრამ რაკი არავითარი ფაქტები ხელთ არ უპყრიათ გელდნერის განცხადების უარყოფისათვის, ქრისტიანულ-დემოკრატიული მოღვაწეები ფალსიფიკაციისა და მუქარას მიმართავენ. ამას მოწმობს შტრაუსისა და ბუნდესტაგში ქრისტიანულ-სოციალური კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარის შტუკლენის გამოსვლა მიუნხენში.

შტრაუსის დახმარებას დაიწყებს ... რა შპრინგერის გაზეთი „დიველტი".

საკვირაო ნომერში მან დიდი ადგილი დაუთმო შტრაუსს, რომელიც ცდილობდა დაამტკიცებინა, რომ არ მონაწილეობდა ამ აფიორაში. მაგრამ მისი გამონათქვამები არაფერს არ შეიცავდნენ თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ ლანძღვა-გინებისა და მუქარის გარდა.

შტუკლენი ცდილობს თავი გაიმართლოს და ყველაფერი სხვებს გადააბრალოს. ტელევიზიით გამოსვლისას მან დაასახელა კიდევ ახალი პირნი, რომლებიც ცდილობდნენ გელდნერის გადაბირებას ქრისტიანულ-სოციალურ კავშირში. მაგალითად, შტუკლენის სიტყვით, გელდნერთან საუბარში მასთან და შტრაუსთან ერთად მონაწილეობდნენ აგრეთვე მოღვაწენი, რომლებიც თავისუფალი დემოკრატიული პარტიიდან გამოვიდნენ და ამჟამად მემარჯვენე დაჯგუფების „ეროვნულ-ლიბერალური აქციის" წევრები არიან — ანტონ ბაიერი და ფრანც მაზერი. ამრიგად, შტუკლენმა პირველად უნებურად აღიარა, რომ ქრისტიანულ-სოციალურ კავშირსა და „ეროვნულ-ლიბერალურ აქციას" შორის მჭიდრო ურთიერთობა ყოფილა.

ქალაქ გარმიშ-პარტენკირხენში (ბავარია) თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წინასაარჩევნო კრებაზე გამოსვლისას გელდნერმა განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში წარმოადგენს ახალ მონაცემებს, რომლებიც ამხილებენ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის მოღვაწეებს. ამასთან დაკავშირებით ბონელ პოლიტიკურ მეთვალყურეებს მიაჩნიათ, რომ გელდნერის აქ მხილებას მოჰყვება სასამართლო პროცესები იმათ წინააღმდეგ, ვინც უკანონო მხარდაჭერას ჰპირდებოდა პარლამენტის არჩევნებში, აგრეთვე დიდ ფულად ქრთამს ჰპირდებოდა პარლამენტის არჩევნებში.

## კონგრესმა განაახლა მუშაობა

### ვაშინგტონი

ვაშინგტონი. 16 ნოემბერი. (საქდესი). დღეს მუშაობა განაახლა ამერიკის 91-ე მოწვევის კონგრესმა. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ამერიკის კონგრესის პრაქტიკაში ეს პირველი შემთხვევაა. ჩვეულებრივ არჩევნების შემდეგ წარმომადგენელთა პალატისა და სენატის ძველი შემადგენლობა დათხოვილად ითვლება, ახალი კონგრესი კი მუშაობას იწყებს მხოლოდ მომდევნო წლის დამდეგს, როცა პრეზიდენტი წარუდგენს წერილს ქვეყნის მდგომარეობის შესახებ.

მაგრამ როგორც სენატმა, ისე წარმომადგენელთა პალატამ იმდენი გადაუჭრელი საკითხი დატოვეს, რომ 91-ე მოწვევის კონგრესის წევრებს მოუხდებათ საშობაო არდადეგებამდე განიხილონ კანონპროექტები, რომელთა გამო ჯერ არ არის მიღებული გადაწყვეტილებანი.

ამერიკის დედაქალაქის პოლიტიკურ წრეებში არ ელიან, რომ ეს ოთხი-ხუთი კვირა რაიმე სენსაციურ ცვლილებას შეიტანს ამერიკული კანონმდებლობის მესვეურთა საერთო პოლიტიკაში. როგორც ცნობილია, უკვე დამტკიცებულია თეთრი სახლის ყველა ძირითადი საკანონმდებლო წინადადება, რომლებიც შეეხება სამხედრო ხარჯების და გამალებული შეიარაღების ასიგნებებს.

კონგრესის წევრები აპირებენ დიდი ხნით შეინახონ კონგრესის ბიუროკრატიული მანქანების უჯრაში განუხილავი დემაგოგიური კანონპროექტები, რომლებიც ეხება გაჭირვებულთა ოჯახებისათვის, ფერმერებისათვის დახმარების გაწევას, შრომის დაცვას, შეიარაღებულ ძალებში გაწვევის წესის შეცვლას, აგრეთვე პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნების შესახებ კონსტიტუციის შესწორება და მთელი რიგი სხვა წინადადებანი. უკვე 47 წელია ამ უჯრაში ინახება, მაგალითად, კანონპროექტი ქალთა უფლებების შესახებ.

მაგრამ, როგორც ამერიკის დედაქალაქის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, კონგრესი ახლაც, როცა „სრული არ არის მისი შემადგენლობა", დაუყოვნებლივ დააკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნას და დამატებით გამოუყოფს 750 მილიონ ან თუნდაც 1 მილიარდ დოლარს „მოკავშირეებისა" და მარიონეტებისათვის".

## წინააღმდეგ განცხადებებისა

ვაშინგტონი. 16 ნოემბერი. (საქდესი). ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები კვლავ მონაწილეობენ საბრძოლო მოქმედებაში ლაოსის პატრიოტული ძალების წინააღმდეგ, იუწყება ვიენტიანიდან გაზეთ „ივნინგ სტარის" კორესპონდენტი ტ. არბაკლი.

არბაკლის თქმით, რომელიც კარგად ინფორმირებულ წყაროებს იმოწმებს, ოპერაციებში პატეტ-ლაოს პარტიზანული რაზმების წინააღმდეგ მონაწილეობს რამდენიმე ასეული ამერიკელი.

### რომი

## ნეოფაშისტთა გამოხდომა

რომი. 16 ნოემბერი. (საქდესი). ახალი დანაშაული ჩაიდინეს ნეოფაშისტებმა ლუჩეს პროვინციის (სამხრეთი იტალია) დიდ დასახლებულ პუნქტ მელისანოში. წუხელ ნეოფაშისტი ვაჟბატონებმა დინამიტი ჩადეს იტალიის კომპარტიის ადგილობრივი სექციის შენობაში. აფეთქების შედეგად შენობა სერიოზულად დაზიანდა.

მელისანოს დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ ხელისუფლებს მოსთხოვა აღკვეთონ ნეოფაშისტთა გამოხდომები.

### კაირო

## მდგომარეობა სირიაში

კაირო. 16 ნოემბერი. (საქდესი). როგორც კაიროს გაზეთი „ალ-გუმჰურია" აღნიშნავს, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის სრულიად არაბეთის მე-10 საგანგებო კონფერენციაზე გამოვლინდა უთანხმოება საგარეო-პოლიტიკურ და საშინაო-პოლიტიკურ საკითხებში „სამოქალაქო" დაჯგუფებასა და „სამხედრო" დაჯგუფებას შორის. სამოქალაქო დაჯგუფებას მეთაურობს პარტიის გენერალური მდივნის მოადგილე გენერალი ს. ჯედიდი, „სამხედრო" დაჯგუფებას კი თავდაცვის მინისტრი ჰაფეზ ასადი.

როგორც საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან, ჰ. ასადმა გამოიყენა არმია და უშიშროების სამსახური და ხელთ იგდო კონტროლი დამასკოს მთავარი ობიექტებისადმი, კერძოდ, რადიოსადგური, სატელევიზიო ცენტრი, სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობა.

ბეირუთი. 16 ნოემბერი. (საქდესი). ლიბანში მიღებული საინფორმაციო სააგენტოთა არაოფიციალური ცნობებით, სირიის თავდაცვის მინისტრი ჰაფეზ ასადი, ეყრდნობა რა არმიასა და უშიშროების ძალებს, კვლავ კონტროლს უწევს მდგომარეობას დამასკოში. არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის მთელი რიგი ხელმძღვანელები, რომლებიც 13 ნოემბერს დააპატიმრეს, ახლა გაათავისუფლეს. იმავე ცნობებით, სახელმწიფოს მეთაური ლ. ნურედინ ატასი გაათავისუფლეს შინაპატიმრობიდან და მასსა და ჰაფეზ ასადს შორის მიმდინარეობს კონტაქტები ახალი მთავრობის შედგენის საკითხზე.

### საუკუნის უდიდესი სტიქიური უბედურება

# გრიგალი პაკისტანში

ყარაჩი. (საქდესი). სტიქიური უბედურება კვლავ დაატყდა თავს აღმოსავლეთ პაკისტანს — საათში 150 მილამდე სიჩქარის გრიგალმა გადაუარა აღმოსავლეთ პაკისტანის სანაპირო რაიონებს. გრიგალის შედეგად მოქცევის ტალღამ, რომლის სიმაღლე შვიდ მეტრამდე იყო, რამდენიმე საათში დატბორა მრავალი კუნძული და სანაპირო რაიონები. მოქცევის ტალღამ რვა საათით დატბორა ჰატიის კუნძული, სადაც 160 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს. კუნძულის მაგისტრატს მიაჩნია, რომ კუნძულის მოსახლეობის ნახევარი დაიღუპა.

ენის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ დაიღუპა რამდენიმე ათასი კაცი სანაპირო კუნძულებზე ჩიტაგონგის რაიონში. არაფერი იციან, თუ რა მოუვიდა ოთხ ათას მლოცველს — ინდუსებს, რომლებიც დუბლა სუნდერის კუნძულზე თავიანთ ფესტივალზე შეიკრიბნენ. ვარაუდობენ, რომ ისინი დაიღუპნენ.

ყარაჩი. 16 ნოემბერი. (საქდესი). დაკიდან კვლავ მოდის ცნობები იმ გრიგალის უმაგალითო ძალის შედეგების შესახებ, რომელიც 13 ნოემბერს თავს დაატყდა აღმოსავლეთ პაკისტანის სანაპიროს.

ბენგალიის ყურეში წარმოქმნილი მძლავრი ციკლონი, აგრეთვე უზარმაზარი 10-მეტრიანი ტალღები თავს დაატყდა ამ ყურის ნაპირს. რამდენიმე მჭიდროდ დასახლებული კუნძული და ხმელეთის მნიშვნელოვანი ნაწილი მთლიანად წყლით დაიფარა.

ძალიან დაზარალდნენ ჰატიისა და ბჰოლის კუნძულები, სადაც, როგორც იუწყებიან, დაიღუპა მთელი მოსახლეობის დაახლოებით 50 პროცენტი.

ოფიციალური მონაცემებით, დაღუპულთა რიცხვი დაახლოებით 16 ათასი კაცია. მაგრამ ადგილობრივ პრესას მოჰყავს სხვა ციფრები, რომელთა შესაბამისად მსხვერპლთა რიცხვი 300 ათას კაცს აღემატება. ალბათ, ადამიანთა მსხვერპლის, აგრეთვე მატერიალური ზარალის შესახებ უფრო გარკვეულ წარმოდგენას მივიღებთ მხოლოდ მაშინ, როცა მოვა ცნობები ყველა დაზარალებული რაიონიდან.

პაკისტანის მთავრობა სასწრაფო ღონისძიებებს ახორციელებს ციკლონის შედეგების ლიკვიდაციისა და დაზარალებულთათვის დახმარების გასაწევად. უბედურების რაიონებში გაგზავნეს ჯარის ქვეგანაყოფები და სამედიცინო ბრიგადები. დაზარალებულთ აძლევენ საჭმელ-სასმელს და პირველი საჭიროების საგნებს. მიმდინარეობს მოსახლეობის ვაქცინაცია ეპიდემიის წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით.

აქაური მეთვალყურეების აზრით, სტიქიური უბედურება, რომელიც აღმოსავლეთ პაკისტანის მცხოვრებლებს დაატყდა თავს, უდიდესია ამ საუკუნეში.

## ფოტოაპარატით მსოფლიოს ქალაქებში



# ბირმა

ქუჩა ქალაქ იენანჩაუნში, რაც „ნავთობის მდინარეს" ნიშნავს. ეს არის ამ ქვეყნის ნავთობის პირველი სარეწების ცენტრი, ბირმის მუშათა მოძრაობის აკვანი. ქალაქის მოსახლეობა ეწევა ნავთობის რეწვას, მემინდვრეობასა და ვაჭრობას. (საქდესის ფოტოქრონიკა).

● რომში მუშაობა დაამთავრა იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის პლენუმმა. როგორც გაზეთი „უნიტა" იუწყება, პლენუმმა განიხილა იტალიის კომპარტიის გენერალური მდივნის მოადგილის ე. ბერლინგუერის მოხსენება „კომუნისტთა ბრძოლა იტალიის ეკონომიკის განვითარების ახალი მიმართულებისა და ახალი პოლიტიკისათვის". პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ლ. ლონგომ.

● პარიზში დამთავრდა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის მე-16 სესია. თითქმის ხუთი კვირის განმავლობაში ამ ორგანიზაციის წევრი 125 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა

## 16 ნოემბერი

## ფაქტები

განიხილეს 60-ზე მეტი საკითხი.

● პრემიერ-მინისტრის სულეიმან დემირელის თავმჯდომარეობით თურქეთში გაიმართა მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს მთელი რიგი კანონპროექტები, მათ შორის სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის დამატება. დამატებაში ნათქვამია, რომ „თვითმფრინავების გატაცება რა მიზეზითაც უნდა იყოს ჩადენილი იარაღის მუქარით ან გამოყენებით, აგრეთვე სხვა საშუალებებით, არ შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკურ, სამხედრო თუ მათ ... განიხილება როგორც სისხლის სამართლის დანაშაული.

● სომალის უმაღლესმა რევოლუციურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შეიქმნას თვითდახმარების პროექტების დაგეგმვისა და რეალიზაციის საკოორდინაციო კომიტეტი. ახალი კომიტეტი „შეიმუშავებს და განახორციელებს სოციალიზმისა და თვითუზრუნველყოფის პრინციპების საფუძველზე ქვეყნის რეკონსტრუქციაში ხალხის ფართო მასების მონაწილეობისათვის მობილიზაციისა და მომზადების გეგმებს".

● ესპანეთის მოსახლეობა ოფიციალური მონაცემებით შეადგენს 33.609.062 კაცს. ამჟამად მადრიდში ცხოვრობს 3.453.069 კაცი.

### სანტიაგო

## ლენინის სახელობისაა

სანტიაგო. 16 ნოემბერი (საქდესი). ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელი უწოდეს ჩილეს ქალაქ ლა-სერენაში ერთ-ერთ ქუჩასა და მოედანს. ეს გადაწყვეტილება ქალაქის მუნიციპალიტეტმა მიიღო ჩილეს საბჭოთა კავშირთან კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტის ინიციატივით.

საზეიმო მოვლენისადმი მიძღვნილ მიტინგზე შეიკრიბნენ ქალაქის მცხოვრებლები. ჟღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი. ფლაგშტოკზე აღმართეს სსრ კავშირის ეროვნული ალამი. კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტის ლა-სერენის განყოფილების თავმჯდომარემ ლ. კნეევმა საჯაროდ გამოაცხადა, რომ ამ ქალაქის მოედანსა და ქუჩას ეწოდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელი.

## ბოლივიის მთავრობის გადაწყვეტილება

ნიუ-იორკი. 16 ნოემბერი. (საქდესი). ბოლივიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფოს კონტროლს დაუქვემდებაროს კვლევისა და სოციალური მოქმედების ინსტიტუტი, რომელშიც ხელმძღვანელი პოსტები ამერიკელებს ეჭირათ.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ლა-პასიდან იუწყება, რომ ინსტიტუტი გადაეცემა დედაქალაქის უნივერსიტეტს „სან-ანდრესს".

როგორც ბოლივიის პრესა აღნიშნავდა წინათ, კვლევისა და სოციალური მოქმედების ინსტიტუტს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან.

უმუშევრობის ზრდა, ფასების გადიდება და ხვალინდელი დღის რწმენის უქონლობა დამოკლეს მახვილივით ემუქრება კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს. (გაზეთებიდან).




ავბედითი აჩრდილი.

ნახატი ამერიკულ გაზეთ „დეილი უორლდიდან".

## ქალაქი — „კინოგმირი"

პრაღა. 16 ნოემბერი. (საქდესი). ჩრდილოეთ ჩეხის მეშახტეთა ძველი ქალაქი მოსტი, რომელიც მცხოვრებლებმა დატოვეს, კინემატოგრაფისტთა მეცადინეობით უკანასკნელად გაუწევს სამსახურს ადამიანებს. როგორც ცნობილია მოსტის ქუჩებისა და მოედნების ქვეშ აღმოჩენილია ქვანახშირის უმდიდრესი საბადოები. ამასთან დაკავშირებით ძველი ქალაქიდან შვიდ კილომეტრზე აშენდა მაღაროელთა ახალი კეთილმოწყობილი მრავალსართულიანი ქალაქი, ხოლო ძველი მოსტი სადაც გაქრება, რათა ადგილი დაუთმოს ქვანახშირის კარიერებს.

მაგრამ დაცარიელებულ ქალაქს, რომელიც აღარ არის საჭირო, მაშინვე როდი აფეთქებენ და ანგრევენ. უახლოეს დღეებში აქ მოვლენ კინემატოგრაფისტები, რათა უნიკალურ ბუნებრივ პირობებში გადაიღონ გრანდიოზული სცენები ქალაქის დაღუპვისა და მომავალი ფილმებისათვის ომის შესახებ. ამრიგად, ძველი მოსტი, გახდება „კინოგმირი" მრავალი ფილმისა, რომლებიც აღბეჭდავენ მის უკანასკნელ საათებსა და წუთებს.

### აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა დელის მე-IV საერთაშორისო კონფერენციისათვის

### ეროვნული ენების განვითარების ზოგიერთი საკითხი

# ახალი გზების ძიებაში

ვლ. მაჟავარიანი

მაროკოს უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის პატარა დარბაზში მე მომიხდა ლექციის წაკითხვა თანამედროვე კულტურის ზოგიერთ საკითხზე. ლექცია არსებითად საინფორმაციო ხასიათს ატარებდა, მაგრამ მაინც ხანგრძლივი და საკმაოდ საინტერესო პოლემიკა გამოიწვია, რომელიც თემის ფარგლებს გასცდა.

დისკუსია შეეხო იმ საკითხთა წრეს, რომლებიც ამჟამად აღელვებს აზიისა და აფრიკის თითქმის ყველა ქვეყნის ინტელიგენციას. ეს იყო — ეროვნული კულტურის სტრუქტურა, ენისა და ლიტერატურის პრობლემები, ის საკითხი, თუ რა ენობრივ საფუძველზე უნდა მოხდეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, წარმოებდეს სწავლება საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

ასეთი დისკუსია წარმოიშვა არა სპონტანურად, და წარმოებდა არა მარტო რაბატში. ასე იყო სუდანშიც, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაშიც, სხვა ქვეყნებშიც აზიისა და აფრიკის მწერლებთან შეხვედრებზე, მწერალთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე ტაშკენტში 1968 წლის სექტემბერში.

მე ვფიქრობ, არ არსებობს უფრო ამაღლვებელი თემა, რომელსაც თითქმის ყველა განვითარებადი ქვეყნის მრავალსახოვან და მრავალფეროვან ინტელიგენციაში განიხილავენ, ვიდრე ენის პრობლემა.

ამ პრობლემის წარმოშობა კარგად არის ცნობილი. იგი წარმოშვა კოლონიალიზმმა, იგი შედეგია იმ უდიდესი კულტურული, ინტელექტუალური ზიანისა, რომელიც კოლონიალიზმმა მიაყენა ათეულ მილიონობით ადამიანს აზიასა და აფრიკაში, ლათინური ამერიკის ხალხებს (სადაც იგივე პრობლემები რამდენადმე სხვანაირი, თავისებური ფორმით დგას). ეს პრობლემები წარმოშვა ფეოდალიზმმა, პოლიტიკურმა რეაქციამ, რომლებიც ყოველთვის ასაზრდოებენ კულტურულ რეაქციას, ხელს უშლიან ხალხის ფართო ფენების შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლინებას. კოლონიალიზმმა შეაჩერა მდიდარი, თვითმყოფი ცივილიზაციისა და კულტურის მქონე ქვეყნების ბუნებრივი განვითარება. ხალხის კულტურა ჩამოშორებულ იქნა ხალხისაგან. თავის განვითარებაში შეჩერებულ იქნა ენაც, მთელი მისი სტრუქტურა, ლექსიკური შემადგენლობა, ახალი სამყაროსა და ცხოვრების ახალ მოვლენათა გამოხატვის შესაძლებლობანი. ეს, როგორც გვეუბნებოდნენ განვითარებადი ქვეყნების კულტურის ბევრი მოღვაწენი, კოლონიალიზმის, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე შემაზრზენი დანაშაულია, რომლის მოკლე ვადებში ლიკვიდაცია ყველაზე ძნელია.

ბუნებრივია, ამ პრობლემის გადაჭრაში ცოტა როდია სიძნელენი, რომლებიც გამოწვეულია, კერძოდ, მოსახლეობის სხვადასხვატომიანობით. მაგალითად, სუდანის სამხრეთში ცხოვრობენ სხვა ენებზე მოლაპარაკე (ესე იგი არა არაბი) ზანგთა ტომები, რომლებსაც აქვთ თავიანთი ეროვნულ-ტომობრივი კულტურა, თავიანთი ენები, სარწმუნოებანი, თავიანთი ჩამორჩენილი საზოგადოებრივი სტრუქტურა. ალჟირში ცხოვრობენ კაბილები, მაროკოში ბერბერები, იმავე სუდანში დინკა (მოსახლეობის 11,5 პროცენტი) და სხვები. ცნობილია შავი აფრიკის ქვეყნების, აზიის მეტი წილი ქვეყნების ენობრივი სიჭრელე.

ბუნებრივია, ენის პრობლემები არ შეიძლება ერთნაირად გადაიჭრას. ერთი საქმეა, როცა ენა ვითარდება ნორმალურად, მოცემული ხალხის მთელ ცივილიზაციასთან, კულტურასთან ერთად, ხალხის განუწყვეტელი ენობრივი შემოქმედების პირობებში. და სულ სხვაა, როცა კოლონიზატორთა ბარბაროსული ძალადობის შედეგად საზოგადოებრივი პროგრესი მექანიკურად ფერხდება, იწყება ენობრივი სტრუქტურის კვდომა, და ენები გვაროვნულ-ტომობრივი ეთნიკური ერთობის ჩარჩოებში იკეტებიან.

კიდევ ერთი სრულებითაც არა მარტივი პრობლემა აღელვებდა ჩემს თანამოსაუბრეებს. ეს არის ინტელიგენციისა და მოსახლეობის ფართო მასების, თუ შეიძლება ასე ითქვას, სხვადასხვაენოვნობა. ბევრ შემთხვევაში ელიტა ძირითადად ლაპარაკობს, აზროვნებს, ქმნის ფრანგულ, ინგლისურ ენებზე, ხალხი კი — ეროვნულ, გვაროვნულ-ტომობრივ ენაზე. საქმე მარტო ენობრივი ბარიერი როდია, რომელიც რამდენადმე აცალკევებს ხალხს ინტელიგენციისაგან. მე მეუბნებოდნენ, რომ საქმე ეხება ამ ქვეყნების ერთი მხრივ ხალხის უმრავლესობის, ხოლო მეორე მხრივ ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის ინტელექტუალურ წარმოდგენათა, ესთეტიკურ სახეთა, აზროვნების სისტემის, სულიერ ინტერესთა, გაზიარებულ თუ უარყოფილ ღირებულებათა მთელ წყობას.

1968 წელს ტაშკენტის სიმპოზიუმზე წამოიჭრა საკითხი ბილინგვიზმის, ორენოვნობის შესახებ — მაშასადამე, მომწიფდა მისი ყოველმხრივი მეცნიერული ანალიზის საჭიროება. აი რას ამბობდა მაშინ ამ პრობლემის შესახებ ცნობილი ნიგერიელი მწერალი და კულტურის მოღვაწე ტაი სალარინი: „ორენოვნობის პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემაა. დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში დასავლეთური ენის ის ცოდნა, რომელსაც იძენენ სკოლაში ენის სწავლებისას, არ იწვევს აფრიკელი ბავშვების ორენოვნობას.

არიან აფრიკელი მწერლები და მეცნიერები, რომლებმაც უნაკლოდ იციან ინგლისური ენა, მაგრამ ამ ადამიანთა რიცხვი დიდი არ არის და ისინი გამონაკლისს წარმოადგენენ. თქვენ ყველაზე მაღალი შეფასებაც რომ მიიღოთ ინგლისურ ენაში და შემდეგ ხუთი წლის ინგლისელ ბიჭუნას დაელაპარაკოთ, იგრძნობთ, რომ თქვენი ინგლისური უფრო ცუდია, ვიდრე მისი.

ასეთ სიტუაციაში იბადება შემდეგი კითხვა: რატომ არ ზრუნავენ ინგლისელები დასავლეთ აფრიკის ტომების მშობლიური ენებისათვის, არამედ დაჟინებული მეცადინეობით მიაღწიეს იმას, რომ დასავლეთ აფრიკის ყველა ტომი ინგლისურ ენაზე ლაპარაკობდეს? ინგლისელებს უნდოდათ აფრიკაში ორენოვნობისათვის მიეღწიათ, თუ შეიძლება ასე ითქვას. მაგრამ იმას მიაღწიეს, რომ ბევრმა ნიგერიელმა არც თავისი მშობლიური ენა იცის და არც ინგლისური.

საბჭოთა კავშირში ყველა ეროვნება თავის მშობლიურ ენაზე ლაპარაკობს და სწავლა მშობლიურ ენებზეა. ჩვენ ვხედავთ, მაგალითად, რომ უზბეკეთში სკოლებსა და უნივერსიტეტში სწავლა უზბეკურ ენაზეა. ამ მხრივ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მშვენიერ მაგალითს, რომელიც დაეხმარებოდა ხიმპოზიუმზე შეკრებილ ყველა მწერალს. ფაქტები ცხადყოფენ: აფრიკის ეროვნული ენები დაჩაგრული რომ არ ყოფილიყვნენ და აფრიკელი მწერლების ნაწარმოებთა დონე ბევრად უფრო მაღალი ყოფილიყო, ეს ლიტერატურაში ახალ სახელებს მოგვცემდა".

საბჭოთა მწერალმა, ოსეთის ლიტერატურის წარმომადგენელმა ნაფი ჯუსოითიმ სწორად შენიშნა, რომ შემოქმედი, სიტყვის ოსტატი არ შეიძლება ფლობდეს ენას მხოლოდ როგორც საკომუნიკაციო საშუალებას. ენა შემოქმედის-მწერლის ხელში არა მარტო ურთიერთობის საშუალებაა, არამედ მეცნიერული, მხატვრული შემოქმედებაც. ის, ვინც ენას ფლობს მხოლოდ როგორც კომუნიკაციის საშუალებას, ამბობს ჯუსოითი, მისი მომხმარებელია, ხელოვანი კი მარტო მომხმარებელი როდი უნდა იყოს, არამედ ხალხთან ერთად ავითარებდეს ენას, მისი შემოქმედი იყოს. მწერალს მშობლიური ენის, სტილის რაღაც მეექვსე გრძნობა უნდა ჰქონდეს.

ფრანგულ ენაზე ლიტერატურის კარგად მცოდნე ბევრი მეგობარი მეუბნებოდა, რომ ალჟირელი ქათიბ იასინი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პოეტია, იმათთაგან, ვინც ფრანგულ ენაზე წერს. მაგრამ არაბულ ენაზე მოლაპარაკე ალჟირელები, რომლებსაც ფრანგული ენა არ ესმით, განა იცნობენ ალჟირელ პოეტს, რომელიც მათთვის „უცხო" ენაზე ქმნის. იბადება მეორე კითხვაც: მწერალი, რომელიც ხალხის ენაზე არა წერს, რამდენად და რა ფორმით ამდიდრებს თავისი ქმნილებებით დიდ ფრანგულ ენას და არაბულ ენას, სწორედ ენებს, და არა ლექსის სტრუქტურის სხვა კომპონენტებს?

ჩვენ გვეკითხებოდნენ, როგორია ამ მხრივ სსრ კავშირის გამოცდილებაო. პასუხი მხოლოდ ერთი იყო. ძალდატანებითი ენობრივი, კულტურული თუ სხვა ასიმილაციის პოლიტიკა ჩვენს საუკუნეში პრობლემას ვერ გადაწყვეტს. ჩვენ ვუამბობდით, რომ კულტურული ჰარმონია სსრ კავშირში მოპოვებულ იქნა ძირეულ სოციალურ ცვლილებათა, სუვერენული თანასწორუფლებიანი ეროვნული რესპუბლიკების კავშირის შექმნის ბაზაზე, ეროვნული ენების, ხალხთა ენების, გვაროვნულ-ტომობრივი ენების, ეთნიკური ჯგუფების კულტურათა მაქსიმალურად განვითარების მეშვეობით, რომ კულტურათა ერთიანობა მიღწეულია ეროვნული მრავალსახეობის საფუძველზე. ეს ეხება სსრ კავშირის ხალხთა ენასაც და იმ სხვა ელემენტებსაც, რომლებიც ქმნიან შინაარსით სოციალისტურ, ინტერნაციონალურ და ფორმით ეროვნულ კულტურათა, ლიტერატურათა სტრუქტურას.

დასავლეთში ფართოდ გავრცელდა კონცეფცია, რომლის თანახმად საჭირო არ არის მავითარებდეთ ეგრეთწოდებული მცირე ხალხების ენებს, საჭირო არ არის ვქმნიდეთ მათთვის დამწერლობასო. ამ კონცეფციას იყენებდნენ კოლონიზატორები აფრიკაში, აზიაში. და ამის შედეგები თვალნათლივ ჩანს. საბჭოთა პრაქტიკამ დაგვანახვა: მეცნიერებისა და კულტურის წარმატებით განვითარებისათვის აუცილებელია ეროვნული ენების განვითარება. სსრ კავშირში შეიქმნა დამწერლობა 50 ენისათვის, რომლებსაც წინათ დამწერლობა არ ჰქონდათ. საბჭოთა კავშირი დღეს ქვეყანაა 100 ენისა, რომლებიც თავიანთი კანონებით ვითარდებიან.

ვ. ი. ლენინი წერდა, რომ ეროვნული საკითხი, თუ მხედველობაში მივიღებთ პრობლემის მთელ კომპლექსს, არ შეიძლება გადაიჭრას ისე, თუ უაღრესად ფართოდ არ ვითარდება დემოკრატიზმი მოცემული საზოგადოებრივი სტრუქტურის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. უაღრესად ფართო საბჭოთა დემოკრატიზმი გახდა ერთ-ერთი გადამწყვეტი წინაპირობა, რომლის საფუძველზევე ხორციელდებოდა ეროვნულ ურთიერთობათა სოციალისტური გარდაქმნები, ენის, კულტურის, ლიტერატურის პრობლემათა გადაწყვეტა.

ამრიგად, დღეს საკითხთა საკითხია მსოფლიოსა და ადამიანის პრობლემათა გაგების იდეური პოზიცია, იმის აუცილებლობა, რომ სწორად დავინახოთ დღევანდელი დღის საჭიროებანი, ისტორიის პერსპექტივა, ხალხის ძირეული ინტერესები. ხალხურობა, პარტიულობა ხელოვანის, მწერლისა და მისი იდეოლოგიური პოზიციისა, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს ნოვატორობას, სამყაროს ახალი ხედვის ძიებას — აი რა ამოძრავებს პროგრესის ისტორიას.

კიდევ ერთი ურთულესი ამოცანაა აფრიკა-აზიის მოძრაობის მონაწილე მწერალთა მსჯელობის საგანი, იგი დელის მომავალი კონფერენციის დღის წესრიგშიც იქნება. ცხადია, საკითხის წარმატებით გადაწყვეტისათვის საჭიროა გარკვეული ისტორიული ვადა, დიფერენცირებული მიდგომა სხვადასხვა ქვეყნებში. რა თქმა უნდა, საჭირო არ არის გავამარტივოთ ეროვნული ცხოვრების რთული მოზაიკა, ერთნაირ გადაწყვეტამდე დავიყვანოთ ეროვნულ კოლიზიათა მოგვარება. ამ საქმეში ზომა-წონის სტანდარტები არ არსებობს. მთავარია, რომ ამ პროცესებს წარმართავდნენ კეთილი ნებისა და პროგრესული მსოფლმხედველობითი პოზიციების ადამიანები, რომლებისთვისაც ძვირფასია ხალხის უაღრესად ფართო მასების ინტერესში.

ასეულ მილიონობით ადამიანები, რომლებიც ათასეული წლების მანძილზე მხოლოდ მიწას ჩასცქეროდნენ, ახლა თვალს ახელენ, აკვირდებიან მათ გარემომცველ ძალიან რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე ხშირ შემთხვევაში მათთვის კიდევაც გაუგებარ სამყაროს. ხალხის ბედნიერება, მისი კულტურის შენება იმპერიალისტურ რეაქციასთან, ხალხთა ყალბ „მეგობრებთან" ცხარე შეტაკებებში გამოიჭედება.

მწერლის ვალია დაეხმაროს ადამიანს ცხოვრების რთული პრობლემების არა მარტო დაყენებაში, არამედ მათი გადაწყვეტის გზების მიგნებაში.

## 17 ნოემბერი სტუდენტთა საერთაშორისო დღეა



[illegible] ორგანიზაციებს. ამ კავშირის წევრია ჩვენი ქვეყნის სტუდენტთა კავშირიც.

საბჭოთა სტუდენტობა თავის ინტერნაციონალურ ამოცანად მიაჩნია სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდობასთან სოლიდარობის გაძლიერება, საერთაშორისო მუშათა კლასისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალგაზრდა თა- [illegible]

[illegible] რიხნიდან) — ნ. კიკნაძე, მ. რატიანი, რ. მურადოვი, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ასპირანტი მეგახედ აბელი (არაბეთი), იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი გ. ქუთათელაძე და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი გ. ხონიაკინა.

ფოტო ნ. გოგოხიასი.

# ურალი უსმენს ქართულ მუსიკას

[illegible] დიან ქართველ კომპოზიტორთა ჯგუფი — ოთარ გორდელი, ვაჟა აზარაშვილი, ლილი ჟავერზაშვილი, აგრეთვე ქართველი მუსიკოსები და მუსიკათმცოდნენი. სახელმწიფო ფილარმონიის დარბაზში უკვე აჟ- [illegible] ლი“, რ. ლაღიძის „საჭიდაო“ და ქართველ კომპოზიტორთა სხვა ნაწარმოებები. კონცერტის პროგრამა ურალელ მსმენელებს საშუალებას აძლევს გაეცნონ სხვადასხვა თაობის კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, დარწ- [illegible] ლად ხვდებიან სტუმრებს. სამი კვირის შემდეგ საქართველოში საპასუხო შემოქმედებითი ანგარიშით ჩავლენ ურალელი კომპოზიტორები და მუსიკოსები — ბორის გიბალინი, ჟერალდ ტობორკოვი და სხვები. ისინი ქარ- [illegible] ბა ბევრ რამეში გვეხმარება. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი შემოქმედებითი მეგობრობა განმტკიცდება და განვითარდება, — თქვა ქართველმა დირიჟორმა ლ. კილაძემ.

# გამარჯვებით დაიწყეს

**სსრ კავშირის** ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა ევროპის ჩემპიონატის სტარტი ნიქოზიაში აიღო. აქ ჩვენი ფეხბურთელების მეტოქე კვიპროსის ნაკრები იყო. ეს მატჩი კვირას შედგა.

თამაში მასპინძელთა იერიშებით დაიწყო და დასაწყისშივე მეკარე ბანიკოვს მეტად ძნელი ბურთის მოგერიება მოუხდა. თანდათანობით ინიციატივა ხელთ იგდეს ჩვენმა ფეხბურთელებმა, და აი მეათე წუთზე ერთ-ერთ კომბინაციას კოლოტოვის უძლიერესი დარტყმა და გოლი მოჰყვა, ხოლო ექვსი წუთის შემდეგ ანგარიში გახდა 2:0. ამჯერად გოლის ავტორი ევრიუჟიხინი იყო. პირველი ნახევრის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე მასპინძელთა ნახევარმცველმა ხალამბუსმა შეძლო საპასუხო ბურთის გატანა.

მეორე ნახევარი საბჭოთა ფეხბურთელების იერიშებით დაიწყო. 60-ე წუთისათვის ანგარიში უკვე 3:1 იყო. მესამე ბურთი მეტოქის კარში შევჩენკომ გაიტანა.

სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ — ბანიკოვი, ისტომინი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი, ლოვჩევი, მუნტიანი, ფედოტოვი, კოლოტოვი, შევჩენკო, კოპეიკინი (გ. ნოდია)., ევრიუჟიხინი.

* * *

**მატჩის** შემდეგ სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვალენტინ ნიკოლაევმა აღნიშნა ევრიუჟიხინის, კოლოტოვის, ფედოტოვის, შევჩენკოს კარგი თამაში და თქვა, რომ კმაყოფილია გუნდის დანარჩენ ფეხბურთელთა გამოსვლითაც.

...კვიპროსის გაზეთების სპორტული მიმომხილველები აღნიშნავენ ჩვენი იმავე ფეხბურთელების კარგ თამაშს და უმატებენ შესტერნიოვსაც. ისინი წერენ, რომ საბჭოთა ნაკრები სჯობნიდა მეტოქეებს თამაშის დიდი სიჩქარით წარმოების უნარით, ტაქტიკითა და ტექნიკით. ლაპარაკობენ რა კვიპროსის ნაკრების თამაშზე, ჟურნალისტები ამ მატჩს უწოდებენ მის საუკეთესო თამაშს უკანასკნელ წლებში.

იმავე ქვეჯგუფში გამოდიან ჩრდილოეთ ირლანდიისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები. ჩვენი გუნდის მეორე მწვრთნელი ალექსი პარამანოვი ნიქოზიის მატჩზე ჩამოვიდა მას შემდეგ, რაც ამ გუნდების თამაშს უყურა.

— თუმცა ესპანეთის ნაკრებმა გაიმარჯვა (3:0), ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთელები ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებენ — უთხრა საქდესის კორესპონდენტს პარამანოვმა. — შეიძლება ითქვას, რომ მოედანზე იყვნენ გუნდები, რომლებიც საერთოდ თამაშის კლასით თანაბარი არიან. ესპანელებმა უნარიანად გამოიყენეს სჯუღლე სიტუაციები.

ამრიგად, სსრ კავშირისა და ესპანეთის გუნდებს — ორ-ორი ქულა აქვთ. შემდეგ მატჩს საბჭოთა კავშირის ნაკრები ესპანელებთან 1971 წლის 30 მაისს გამართავს მოსკოვში. (საქდესი).

# კუბელი სტუმრები

**თბილისელები** გულთბილად ხვდებიან კუბის ხალხთა მეგობრობის ინსტიტუტისა და კუბა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ასოციაციის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე არტურ ესპინოსა.

რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოსული კუბელი მეგობრები 16 ნოემბერს ეწვივნენ საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებას. სტუმრებს მიესალმა საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ელიოტი, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ მეგობრობასა და ძმურ თანამშრომლობას კუბელ ხალხთან. იგი კუბის წარმომადგენლებს ესაუბრა საქართველოს მშრომელების ეკონომიური, მეცნიერული და კულტურული მიღწევების შესახებ.

იმავე დღეს დელეგაციის წევრები ეცნობოდნენ საქართველოს დედაქალაქის ცხოვრებას.

(საქდესი).

# კომუნისტი სპორტი

## ევროპის შესარჩევი...

**ბულგარეთის** ნაკრები. რომელსაც საკუთარ მოედანზე ჰქონდა მატჩი ნორვეგიელთა წინააღმდეგ, მთელ თამაშში ინარჩუნებდა ტერიტორიულ უპირატესობას, მაგრამ იძულებული გახდა ფრეს (1:1) დასჯერებოდა.

**ამავე** დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს ლუქსემბურგის გუნდი.

## საბჭოთა ფეხბურთელების ტურნე

**სსრ კავშირის** თასის მფლობელი — მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი განაგრძობს ტურნეს ევროპაში. მორიგი შეხვედრა დინამოელებს ჰქონდათ შვეიცარიაში საკლუბო გუნდ „ლიუცერნთან“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0.

**პარიზში** დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა“ დამარცხება განიცადა ადგილობრივ საკლუბო გუნდ „რედ სტართან“ შეხვედრაში 3:4.

# უკანასკნელი ტური, ტურნირი კი გრძელდება

**ესპანეთის** პალმა დე მალიორკის კუნძულზე ჭადრაკში მსოფლიოს პირველობის საზონათაშორისო ტურნირის მეხუთე ტურის დღეს გაიმართა... უკანასკნელი, 23-ე ტური. ეს უკვე მეორე ცვლილებაა რეგლამენტში. ამიტომ უკვე 14 ნოემბერს შეხვდნენ ერთმანეთს თანამემამულეთა წყვილები — იუგოსლაველი მატულოვიჩი და მინიჩი და საბჭოთა გროსმაისტერები სმისლოვი და ტაიმანოვი. პირველი შეხვედრა დამთავრდა ყაიმით ზუსტად მეორმოცე, საკონტროლო სვლაზე, ხოლო მეორე ასევე ყაიმით — 24-ე სვლაზე.

ასეთი შედეგი აღინიშნა ფილიპ (ჩეხოსლოვაკია) — მეკინგის (ბრაზილია), ლარსენ- (დანია) — გელერის პარტიებში.

მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა პოლუგაევსკიმ პორტიშთან (უნგრეთი), ჰუბნერმა (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) მოუგო სატლზს (კანადა), გლიგორიჩმა (იუგოსლავია) — რუბინეტის (არგენტინა), ამასთან უკვე 25-ე სვლაზე, პანომ (არგენტინა) — იუნგუმენს (მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა). ფიშერი (ამერიკის შეერთებული შტატები) შაბათს არ თამაშობდა (მისი მოწინააღმდეგე უნდა ყოფილიყო ჩეხოსლოვაკიელი ჰორტი. მათი შეხვედრა მომდევნო დასვენების დღეს გაიმართება).

ადისონ (ამერიკის შეერთებული შტატები) — ულმანის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), რეშევსკი (ამერიკის შეერთებული შტატები) — ხიმენესის (კუბა), ნარანხა (ფილიპინები) — ივკოვის (იუგოსლავია) შეხვედრები გადაიდო.

მეექვსე ტურში გელერი დათანხმდა ყაიმს პარტიაში ხიმენესის წინააღმდეგ, ხოლო წინათ გადადებულ პარტიაში ნარანხას წინააღმდეგ გაიმარჯვა, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მისი სატურნირო მდგომარეობა.

ყაიმით დამთავრდა აგრეთვე პოლუგაევსკის შეხვედრა შეჯიბრების ერთ-ერთ ლიდერთან — უიტუმენთან. ასეთივე შედეგია ნარანხას შეხვედრაში ტაიმანოვთან (ეს ლენინგრადელის მეექვსე ყაიმია). წარუმატებლად ითამაშა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა სმისლოვმა — მან მეორე დამარცხება განიცადა — ამჯერად ახალგაზრდა ბრაზილიელ მეკინგთან.

დიდი ინტერესი გამოიწვია ამერიკელების რეშევსკისა და ფიშერის შეხვედრამ. ფიშერი შავებით თამაშობდა. ამ ორი გროსმაისტერის მუდმივი დავა ამჯერად 31-ე სვლაზე ფიშერის გამარჯვებით დამთავრდა.

წინა ტურში პოლუგაევსკისთან დამარცხების შემდეგ პორტიშმა თავისებური რევანში აიღო პარტიაში რუბინეტის წინააღმდეგ. გლიგორიჩმა მოუგო ჰორტს.

ნახევარ-ნახევარი ქულა ჩაიწერეს პანომ და ფილიპმა, ივკოვმა და მინიჩმა. ლარსენ-ულმანის, მატულოვიჩ-სატლზისა და ადისონ-ჰუბნერის შეხვედრები გადაიდო. გადადებული პარტიების დამთავრებისას რეშევსკიმ დაამარცხა ხიმენესი, ივკოვი ყაიმს დათანხმდა ნარანხასთან.

ახლა ლიდერთა ჯგუფში შედიან ფიშერი — 4,5 ქულა (ერთი პარტია გამოტოვებული აქვს), გელერი, გლიგორიჩი, პანო და უიტუმენი — ოთხ-ოთხი ქულა, აგრეთვე — პოლუგაევსკი და მეკინგი — სამ-სამი ქულა და თითო გადადებული პარტია. (საქდესი).

# ნიჭიერი ფილოსოფოსი



### კიტა მეგრელიძის დაბადების 70 წლისთავი

**ს**ამოცდაათი წლის წინათ დაიბადა თანამედროვე ქართველი ფილოსოფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი კიტა მეგრელიძე. ორმოცდაოთხი წლისა იყო იგი, როცა შეწყდა მისი სიცოცხლე. ფილოსოფიურად მოაზროვნე სპეტაკ პიროვნებას არ დასცალდა იმისი გაკეთება, რაც შეეძლო და ევალებოდა მისი ნიჭისა და შემოქმედებითი ენერგიის მიხედვით.

დღეს ძნელია, თითქმის შეუძლებელიც, სრულად წარმოიდგინოს ადამიანმა შემოქმედების ის განძი, რაც შეეძლო მოეცა ამ ქართველ ფილოსოფოსს. ის, რაც გამოვლენილ იქნა კიტა მეგრელიძის ინტელექტუალური შესაძლებლობიდან, თითქმის მთლიანად თავმოყრილია მის ერთტომეულში. ზოგი სხვა ნაშრომი, მის ხელში დასრულებული, დაიკარგა და ფართო მკითხველის შეფასება არ ღირსებია.

მე წილად მხვდა ხელმძღვანელობა ამ ტომეულისა და დღეს მინდა ორიოდე სიტყვით მოვუთხრო საზოგადოებას ცოტა რამ იმის შესახებ, რაც მოცემულია კიტა მეგრელიძის ამ ერთადერთ, ჩვენს ხელთ არსებულ მემკვიდრეობაში. ამისთვის მივმართავთ იმას, რაც ნათქვამი იყო რამდენიმე წლის წინათ ამ ნაშრომის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

1966 წლის მარტში რუსულ ენაზე გამოვიდა კიტა მეგრელიძის წიგნი: „აზროვნების სოციოლოგიის ძირითადი პრობლემები“. მე როგორც ამ ნაშრომის რედაქტორს, ხშირად მომდის წერილები, რომლებშიც გამოთქმულია სპეციალისტების დიდი მოწონება და კმაყოფილება გამოკვლევის მიზანდასახულობისა და შინაარსის გამო. საილუსტრაციოდ მოვიყვან ორ ფაქტს: დონის როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრამ 1966 წლის დეკემბერში დაადგინა მისი წარდგენა სახელმწიფო პრემიაზე, ხოლო გაზეთი „პრავდა“ სტატიაში „მეცნიერების თვითშემეცნება“ (13 თებერვალი 1967 წ.) აღნიშნავდა:

„ბრწყინვალედ განათლებული მარქსისტი, დიდი ერუდიციის ადამიანი, მეგრელიძე იკვლევს აზროვნების პროცესს არა ვიწროსპეციალური თვალსაზრისით, არამედ ყოველმხრივ, კომპლექსურად, იყენებს ფსიქოლოგიის, ეთნოგრაფიის, შედარებითი ენათმეცნიერების, ფილოსოფიის ისტორიის მონაცემებს. მისი კალმის ქვეშ აზროვნების პროცესი წარმოგვიდგება როგორც სოციალური პროცესი, რომელიც ორგანულად ჩაქსოვილია ადამიანის შრომითს საქმიანობაში, როგორც იდეათა სოციოგენეზი“.

1938 წლის თებერვალში კიტა მეგრელიძის ეს ნაშრომი დაიბეჭდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის გამომცემლობაში აკადემიკოს ი. მეშჩანინოვის რედაქციით. მაგრამ წიგნს არ ეღირსა სტამბიდან გამოსვლა. ბედნიერმა შემთხვევამ შეგვინარჩუნა ამ წიგნის ერთადერთი ეგზემპლარი.

კიტა მეგრელიძე გარდაიცვალა 1944 წელს მისი მრავალი მეცნიერული ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა. დაიკარგა ნაშრომიც, რომელზეც იგი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მუშაობდა.

1956 წლის შემდეგ ისევ დაისვა საკითხი კ. მეგრელიძის „აზროვნების სოციოლოგიის ძირითადი პრობლემების“ გამოქვეყნების შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობასთან შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა განეხილა წიგნი და გამოეთქვა თავისი აზრი მისი გამოცემის მიზანშეწონილობაზე. კომისიაში შედიოდნენ ფიზიოლოგიის, ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფილოსოფიის წარმომადგენლები. მე გავითვალისწინე ამ სპეციალისტების მიერ გამოთქმული აზრები და წიგნს გავუკეთე რედაქცია. წიგნი გამოვიდა 1966 წელს, ე. ი. მისი პირველი დასტამბვიდან 28 წლის შემდეგ.

რაში მდგომარეობს ამ წიგნის მნიშვნელობა?

იგი მიზნად ისახავს აზროვნების ბუნების გარკვევას და ეძებს ამისათვის შესაფერის მეთოდს, შესატყვის თვალსაზრისს. საჭირო გახდა იმ თვალსაზრისების შემოწმება, რომელთა მიხედვითაც წარმოებდა აზროვნების კვლევა ბურჟუაზიულ მეცნიერებაში. მსჯელობის საგანი უნდა გამხდარიყო აზროვნების კვლევის ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო მეთოდოლოგია: სუბიექტურ-ფსიქოლოგიური და ობიექტურ-ფიზიოლოგიური. ავტორის აზრით, სუბიექტური თვალსაზრისი მიუღებელია, რადგან ვერ სწვდება აზროვნების ბუნებას, მის კონკრეტულობასა და ისტორიულ შინაარსს. სუბიექტური თვალსაზრისი არ შორდება ცნობიერების ფარგლებს. ხოლო აზროვნების შინაარსი ისეთი ვითარების ასახვაა, რომელიც ცნობიერების გარეთ მდებარეობს.

კიტა მეგრელიძეს არ აკმაყოფილებს მეორე თვალსაზრისი, რომელიც ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიის სახელით არის ცნობილი. ეს მიმართულება სწორი დებულებიდან ამოდის, მაგრამ მართებულად ვერ ავითარებს მას. კიტა მეგრელიძე აქ ეყრდნობა ენგელსის ცნობილ დებულებას აზროვნების შესწავლის მეთოდოლოგიის შესახებ და ამ დებულების ფართო გამოყენებით სრულიად ახალ პერსპექტივებს შლის მეცნიერების წინაშე.

რას გულისხმობს ენგელსი აზროვნების არსში? კიტა მეგრელიძის ინტერპრეტაციით, აზროვნების არსი მისი შინაარსია, ესე იგი ის, რასაც აზროვნება გვაუწყებს სინამდვილის შესახებ. ამისათვის, რა თქმა უნდა, საჭიროა ფიზიოლოგიური მექანიზმი, მაგრამ ეს უკანასკნელი ვერაფერს გვეტყვის იმ შინაარსის შესახებ, რომელიც აზროვნების არსს განსაზღვრავს.

ერთ-ერთი საბუთი ასეთია: პირველყოფილი ადამიანის ფიზიოლოგიური მექანიზმი არსებითად არ განსხვავდება თანამედროვე ცივილიზებული ადამიანის ფიზიოლოგიური მექანიზმისაგან, მაგრამ ამ ორი ადამიანის აზროვნების შინაარსი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. ან კიდევ: იდეალისტური და მატერიალისტური მსოფლმხედველობა რადიკალურად განსხვავებულია, მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით იმ ფიზიოლოგიური პროცესების შესახებ, რომლებიც მიმდინარეობენ ამ მსოფლმხედველობის მატარებელ პირთა ცენტრალურ ნერვულ სისტემაში. სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ფიზიოლოგიური მექანიზმი ჰეგელსა და მარქსს არსებითად ერთნაირი ჰქონდათ, მაგრამ მათი მსოფლმხედველობა, მათი აზროვნების შინაარსი ერთიმეორის საწინააღმდეგოა.

სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი? რით არის გამოწვეული მსოფლმხედველობათა სხვაობა, მათი განვითარება და გაბატონება ისტორიის სხვადასხვა პერიოდში? ასე ესმის კიტა მეგრელიძეს პრობლემა აზროვნების არსის შესწავლისა, და ამიტომ უვარგისად მიაჩნია მისი შემეცნების როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიოლოგიური გზა. მეცნიერებამ აზროვნების შესახებ ჩვენთვის გასაგებად უნდა გახადოს აზროვნების როგორც მარტივი, ისე მსოფლმხედველობრივი იდეოლოგიური შინაარსი.

სხვა რა გზა არსებობს ამისათვის? როგორ უნდა გადაწყდეს აზროვნების პრობლემები? კიტა მეგრელიძე ამაზე მტკიცე პასუხს იძლევა. აზროვნების პრობლემები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გადაწყდეს, თუ ჩვენ ამისათვის სოციალურ ფაქტორებს, საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელ ძალებს მივმართავთ. ასე გაჩნდა ამ წიგნის სახელწოდება — „აზროვნების სოციოლოგია“. იგი არც აზროვნების ფსიქოლოგიას გამორიცხავს და არც აზროვნების ფიზიოლოგიას, თუ, რასაკვირველია, დაცული იქნება მათი მოქმედების საზღვრები.

ამით კიტა მეგრელიძემ ორი მომენტი წამოსწია წინა პლანზე. აზროვნების შესწავლამ ყურადღება უნდა გაამახვილოს აზროვნების კონკრეტულ შინაარსზე და ამისათვის მოიმარჯვოს სოციოლოგიური თვალსაზრისი. კიტა მეგრელიძე კარგად იცნობს იმ სიძნელეებს, რომლებთანაც დაკავშირებულია სოციოლოგიური თვალსაზრისის გამოყენება აზროვნების შესწავლაში.

ყოველი ჭეშმარიტება აუცილებლობას შეიცავს, მაგრამ ყოველგვარი აუცილებლობა არ არის ჭეშმარიტება, ჭეშმარიტების პრობლემა გნოსეოლოგიური პრობლემაა და არა სოციოლოგიური. კიტა მეგრელიძეს, ცხადია, სწამს ყოველივე, ეს, და ამიტომ მიყავს თავისი კვლევა ასე ფრთხილად, არ უნდა აირიოს ერთმანეთში გნოსეოლოგიური და სოციოლოგიური თვალსაზრისები. აზროვნების სოციოლოგია არ უნდა მივიჩნიოთ აზროვნების გნოსეოლოგიად. გნოსეოლოგიის უფლებები არ უნდა შეილახოს. კიტა მეგრელიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ისე გამოატარა აზროვნების სოციოლოგიის პრობლემები საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალფეროვან სფეროებზე, რომ არსად უღალატნია არც თავისი თვალსაზრისისათვის, არც გნოსეოლოგიური მიდგომის უფლებათა დაცვისათვის.

რატომ ფიქრობს ადამიანი ასე და არა სხვაგვარად? რა არის ამის განმსაზღვრელი ფაქტორი? აი ამის შესახებ მოგვითხრობს კიტა მეგრელიძის ნაშრომი — „აზროვნების სოციოლოგიის ძირითადი პრობლემები“, რომელმაც უკვე გაიკაფა გზა, და იგი ამჟამად საყოველთაო ყურადღების საგანი გახდა.

ჩვენ კვლავ გამოვთქვამთ იმედს, რომ აზროვნების სოციოლოგიური კვლევის საქმეში ამ ნაშრომის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება. აუცილებელია ამ ნაშრომის ხელახლა გამოცემა. ამის დიდი მოთხოვნილება არსებობს.

აკადემიკოსი

**ა. ბოჭორიშვილი.**

# სპორტული ზეიმი ვარკეთილში

**ამ მიდამოებს** ოციოდე წლის წინათ სიცოცხლის ნიშანწყალიც რომ არ ეტყობოდა, ეს ბევრმა იცის. მაგრამ დღეს თუ გინახავთ ხამგორის ველი? საბჭოთა ადამიანმა სახე უცვალა მას — თვალსახარებს ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის მიდამოები. ბაგა-ბაღებს, სკოლებს, კინოთეატრს ახლა სპორტული კომპლექსიც შეემატა. ვარკეთილელებმა ჯერ სტადიონი ააშენეს სარბენი ბილიკებით. შემდეგ 25-მეტრიანი საცურაო აუზი. იმარჯვა ახალგაზრდობამ. ეს ხომ ჩვენთვის შენდებაო, — თქვეს და დღე და ღამე გაასწორეს. მათ ხომ უკვე სახელოვანი სპორტსმენიც ჰყავთ. მეურნეობის აგრონომი ზ. პაპიძე საბჭოთა კავშირის ჩემპიონია ძალოსნობაში სოფლის სპორტსმენთა შორის; ფეხბურთელთა გუნდი კი საქართველოს პირველობაში მონაწილეობს. მუშაობაში დღეები დღეებს მისდევდა...

შაბათს დიდი ზეიმი იყო ვარკეთილში. გაიხსნა სპორტული კომპლექსი კეთილმოწყობილი სტადიონით, სპორტული დარბაზით, კალათბურთის, ფრენბურთის, ჩოგბურთის მოედნებით, საჭიდაო არენითა და საცურაო აუზით.

გაიმართა საზეიმო მიტინგი, რომელიც გახსნა მეურნეობის ადგილკომის თავმჯდომარემ ი. ჯობაძემ. სიტყვებით და მისალმებებით გამოვიდნენ მეურნეობის დირექტორი ი. კაველაძე, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლ. სანაძე, კომკავშირის გარდაბნის რაიკომის მდივანი თ. ბზეკალავა, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ თავმჯდომარე ვ. ულენტი, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი ხ. კალანდაძე, ვარკეთილის საშუალო სკოლის მოსწავლე მ. თვაური, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი ვ. ხამსონაძე და სამგორის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ხ. ელიაროვა.

მიტინგის შემდეგ დარბაზებში და მოედნებზე გაიმართა შეჯიბრება ფეხბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში...

ზეიმი, ასპარეზობანი გვიანობამდე გრძელდებოდა.

**ვ. მარდალეიშვილი.**

* * *





სურათებზე: მარჯვნივ — შეჯიბრება ფრენბურთში ახალ სპორტულ დარბაზში; მარცხნივ — ასეთია ახალი საცურაო აუზი.

ფოტო ხ. კილაძისა.

# რამდენიმე სტრიქონით

● **ტაშკენტში** დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება სავარჯიშო ველორბოლაში. საერთო გუნდურ ჩათვლაში ვაჟთათვის წარმატება რსფსრ-ის სპორტსმენებს ხვდათ. ქალთა გუნდებს შორის გაიმარჯვეს ლატვიელმა ველომრბოლელებმა.

● **უნგრეთის** ქალაქ მიშკოლცში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი კრივში ჭაბუკთა შორის. მონაწილეობდა 21 ქვეყნის 144 სპორტსმენი. გაიმარჯვეს უნგრელებმა — 5 ოქროს, 2 ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი. საბჭოთა გუნდმა 5 ოქროსა და 1 ვერცხლის მედლით მეორე ადგილი დაიკავა. გდრ-ის გუნდი მესამე იყო — 1 ოქროს, 1 ვერცხლის და 6 ბრინჯაოს მედალი.

● **მინსკში** დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. გათამაშდა ბელორუსიელი მოჭიდავის ა. მედვედის სახელობის 4 პრიზი. მონაწილეობდნენ ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენები. გაიმარჯვეს ჰ. შტოტმაისტერმა (გდრ, პირველი საშუალო წონა) და საბჭოთა მოჭიდავეებმა პ. ხიაჩმა (მეორე საშუალო წონა), ს. ლისაფინმა (ქვემძიმე წონა), დ. კიტორმა (მძიმე წონა). გამარჯვებულებს პრიზები გადასცა ა. მედვედმა.

# რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## ტელევიზია

### 17 ნოემბერი

11.05 — ახალი ამბები — (მოსკოვიდან), 11.15 — მხატვრული ფილმი „დღე, როდესაც 30 წლის სრულდები“, 12.40 — ბავშვებისათვის „დაუკარი, პატარა მუსიკოსო“ (გადმოცემა ჩეხოსლოვაკიიდან), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — განცხადებები, 18.35 — გადაცემები ბავშვებისათვის. 1. „დაუვიწყარი ხმები“. 2. „იყო და არა იყო რა“..., 19.10 — „საბჭოთა საქართველო—50“. გადაცემა „ახალი სიტყვა მეტალურგიაში“, 19.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი, 19.55 — „ამხანაგი სტუდენტი“ გადაცემა ეძღვნება სტუდენტთა საერთაშორისო დღეს, 20.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — გადაცემა „მოგზაურობა შთაგონების სამყაროში“, 21.40 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.00 — უნგრული მხატვრული ფილმი „მეფეები, რეგენტები და მასხარები“.

### 18 ნოემბერი

11.05 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — უნგრული მხატვრული ფილმი — „მეფეები, რეგენტები და მასხარები“, 12.45 — „შენთვის, ახალგაზრდობავ!“ — (გადაცემა ლენინგრადიდან), 17.00 — „სკოლების დასახმარებლად“ — როგორ ვიმუშაოთ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის ტექსტზე“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — ბავშვებისათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.30 — განცხადებები, 18.35 — მოსწავლეთათვის. გადაცემა — „64 უჯრის საიდუმლოება“, 19.05 — „მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების“ შემსწავლელთა დასახმარებლად“, 19.25 — გადაცემა „ბეთჰოვენის საშემსრულებლო ტრადიციები საქართველოში“, 20.25 — გადაცემა — „დოკუმენტური კინო ბრალს სდებს“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — მხატვრული ფილმი — „ადამიანურ სასწაულებზე“, 22.45 — „ეთერშია ახალგაზრდობა“ — (მოსკოვიდან).

## თეატრები

### 17 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — კარმენი; რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — ვახშმობის წინ; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — წმინდანები ჯოჯოხეთში; მოზარდ მაყურებელთა ქართული — სკაპენის ოინები (აბონ. №49 5-30 წ.); თოჯინების ქართული — ტყის კომედია (10 ს. მე-14 და 84-ე სკოლები; 12 ს. მე-14 სკოლა).

## კინო

### 17 ნოემბერი

ოქტომბერი — წითელი კარავი (I, II სერია); ამირანი, საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი, გაზაფხული, სპარტაკი, კოლხიდა, ბათუმი, სიხარული, თბილისი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ჰავჰავაძის სახელობის კულტურის სახლი — პან ვოლოდიევსკი (I, II სერია); 26 კომისრის სახელობის (წითელი დარბაზი), ვარძია, გორკის სახელობის კულტურის სახლი, თანამგზავრი, საქართველო (მწვანე დარბაზი), ნაკადული — თოჯინა (I, II სერია); 26 კომისრის სახელობის (მწვანე დარბაზი), ყაზბეგი (მეორე დარბაზი), ეკრანი, საქართველო (მწვანე დარბაზი) — ვეფხვის ნაკვალევზე; ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — ჩემი მშვენიერი ქალბატონი (I, II სერია); კოლმეურნე — ყვავილი და ქვა (I, II სერია).

რედაქტორი

**დ. მჭედლიშვილი.**

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99 93 03, 99-08-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93 22 98, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52 46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99 60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54